პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი. № 123 (12037) | ოთხშაბათი, 31 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

გეგმა კანონია

ნლევანდელი წელი არის შვიდწლედის გასორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის წელი, სოციალისტური ეკონომიკის კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის შემდგომი ბრძოლის წელი, სკკპ XXII ყრილობის წელი.

ჩვენი რესპუბლიკა გაცხოველებით ემზადება სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის. ფაბრიკებისა და ქარხნების, მაღაროებისა და შახტების, მშენებლობებისა და ტრანსპორტის კოლექტივებმა, ცალკეულმა ბრიგადებმა და დამკვრელებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები შეჯიბრების მონაწილეთა ახალი წარმატებების შესახებ.

რესპუბლიკის მუშათა კლასი, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენცია ახალი შრომითი გმირობისათვის აღფრთოვანა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ საწარმოთა კოლექტივების მუშაობის მაღალმა შეფასებამ.

ამ მაღალი შეფასების საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. კომუნისტური შრომის ბრიგადები და დამკვრელები შვიდწლედის მესამე წლის ზღუდეებს მიუახლოვდნენ. უნარიანი ორგანიზატორული საქმიანობის მაგალითებს გვიჩვენებენ რესპუბლიკის მთელი რიგი მოწინავე საწარმოები.

ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის განვლილ პერიოდში საწარმოში დანერგა მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი, განახორციელა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამის შედეგად წარმოების კოლექტივი სრული მეტალურგიული ციკლით ასრულებს ყოველთვიურ დავალებას და სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით აძლევს ფოლადს, თუჯს და სხვა პროდუქციას. ქარხნის კოლექტივმა ყველა ძესაძლებლობანი გამოიანგარიშა და ვალდებულება იკისრა 1965 წლისათვის გთვალისწინებულ წარმოების დონეს მიაღწიოს 1963 წელს. ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ვალდებულებას წარმატებით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. აქ წარმატებით შეასრულეს ოთხი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ფეროშენადნობი.

შვიდწლედის მესამე წლის დავალებისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის ნაყოფიერ შრომას ეწევიან ჭიათურის მაღაროთა კოლექტივები. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტალინისა და კალინინის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებმაც ვალდებულებანი შეასრულეს ხუთი თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათას ტონობით მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მოწინავე მაღაროელები უკვე რამდენიმე დღეა მარგანეცს ივნისის ანგარიშში იძლევიან.

დაწინაურებულ საწარმოთა კოლექტივებმა თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგეს დიდძალი თანხები და ზეგეგმითი მილიონებით გაამდიდრეს შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდი.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მაჩვენებელი კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ მოწინავე საწარმოების გვერდით ჯერ კიდევ არ იყონ ჩამორჩენილები, რომლებიც არათუ ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, არამედ საწარმოო გეგმებსაც ვერ ანაღდებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გულდამშვიდებით კისრულობენ წარმოების ხელმძღვანელობას, იღებენ ვალდებულებებს, მაგრამ ნაკლებად გრძნობენ პასუხისმგებლობას მათი შესრულებისათვის. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 88 საწარმომ ვერ შეასრულა ოთხი თვის არათუ ვალდებულებანი, არამედ სახელმწიფო გეგმებიც კი.

განსაკუთრებით ჩამორჩებიან და რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს უკან სწევენ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს, საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოსა და ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის სამმართველოს საწარმოთა კოლექტივები, ცუდად იმუშავეს და სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ ნოსირის ჰგურ-კრამიტის ქარხანა (დირექტორი ს. ეჯინია), სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატი (დირექტორი ნ. ბაზალია), სადმელის სატყეო კომბინატი (დირექტორი ზ. გოცირიძე), ენგურის ტყემრეწვმეეურნეობა (დირექტორი ო. გამცემლიძე).

საწარმოების მიერ გეგმების შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, კუს ნაბიჯით ხორციელდება შრომატევადი პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

გეგმების შეუსრულებლობასთან ერთად რესპუბლიკის ბევრ საწარმოში დაბალია შრომის ნაყოფიერება, დიდია წონის რაოდენობა, არის დიდი ზეგეგმითი გადახარჯვა. ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების აღზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ნაკლებია ზრუნვა იმისათვის, რომ ახალგაზრდა კადრები მოკლე დროში დაეუფლონ პროფესიას და მიაღწიონ იმას, რომ მხარი გაუსწორონ შვიდწლედის გმირებს.

ამ მხრივ არათუ პატარა საწარმოებში, არამედ მოწინავე საწარმოებშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. მაგალითად, თბილისის კამოდო-მაუდის კომბინატში შარშან 1.100 კაცი მიიღეს, წარმოებიდან წავიდა თითქმის იმდენივე კაცი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში 1960 წელს მიიღეს 480 კაცი, წავიდა 569 კაცი. ცხადია, მუშათა ასეთი დიდი დენადობის პირობებში მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩამორჩენილ საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მთავარია კადრების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რომ კადრები წყვეტენ სახელმწიფო გეგმების ყველა მაჩვენებლით შესრულების საქმეს.

ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება, სოციალისტური შეჯიბრების წარმატება მტკიცედ უზრუნველყოფილია იქ, სადაც არის საჭიროობა, სადაც მოწყობილია შესრულების რეგულარული შემოწმება და შედეგების განხილვა მუშათა საერთო კრებებზე. უფრო მასობრივი ხასიათი უნდა მიეცეს შეჯიბრებას მონათესავე საწარმოებს შორის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველ საწარმოს ჰქონდეს ნათელი და ზუსტი საწარმოო დავალება. სამეურნეო ორგანოები ვალდებულნი არიან აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ საქმეში.

მიცემული გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები რეალურია. ასლა მთავარია საქმის ორგანიზაცია. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მებრძოლ კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და დამკვრელებს, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ყველა უბანმა, ბრიგადამ და დამკვრელმა მხარი გაუსწოროს შვიდწლედის გმირებს, ამით უზრუნველყონ შვიდწლედის მესამე წლის ახალი ზღუდეების დაპყრობა, ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.

ბრეწველობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ კარგი შედეგები მოიტანა. შვიდწლედის პირველი ორი წლის შედეგები მოწმობენ, რომ ყველა შესაძლებლობა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს საბჭოთა დასალობანი. ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია თითქმის 15 პროცენტით გადიდდა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 13 პროცენტის ნაცვლად. ორი პროცენტი კი მნიშვნელოვანი ფვლილია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

შენთვის, სამშობლოვ!

უპატაკებენ შესრულებას

ახალციხე, (საკ. კორ.). სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ახალციხის № 1 შახტის კოლექტივი.

ამ შახტის სამთოელებმა მორიგი შრომითი გამარჯვება უპატაკეს სამშობლოს, 2 მაისისათვის შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 5 თვის დავალება და სათბობს ივნისის ანგარიშში იძლევიან.

ენერგიულად შრომობენ და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 1,5-2 ტონა ქვანახშირს ანგრევენ გიორგი გორგოძისა და ბეჟან მსხვილაძის მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ხაშური. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანეებს ყოველთვიურად მეტი და მეტი მძიმეწონიანი მატარებლები გადაჰყავთ სურამის ულელტეხილის რთულპროფილიან რკინიგზის უბანზე.

მძიმეწონიანი მატარებლის ტარების ოსტატმა ელმავლის ახალგაზრდა მემანქანემ რ. საყვარელიძემ უკვე 50 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით გადაიტანა 20.687 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გ. აბოიანცმა 45 მძიმე წონის მატარებელი გაატარა და გეგმის გადამეტებით გადაზიდა 19.174 ტ. ტვირთი.

საჭირო ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა ფენის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადაფუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი.

ამბები, ფაქტები, ცნობები

ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე

დათესილია 115,5 მილიონი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

ხორბლის თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

მოსკოვი, 27 მაისი. (საკდესი). 25 მაისისათვის ჩვენი ქვეყნის კოლეგურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დათესილი აქვთ 115 მილიონ 525 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. მიწათმოქმედებმა საგაზაფხულო ხორბლის თესვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს. უძვირფასესმა სასურსათო კულტურამ დაიკავა 45 მილიონ 500 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი. ხორბლის თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთშიც.

ჩვენს ქვეყანაში ძირითადად დამთავრებულია სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდის თესვა. გაიშალა შეჯიბრება ამ შესანიშნავი კულტურის უხვი მოსავლისათვის. კოლეგურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დათესეს დაახლოებით ოთხი მილიონი ჰექტარი, სადაც დასახულია მოიყვანონ ჰექტარზე სულ ცოტა 50 ცენტნერი მარცვალი. ჩვენი ქვეყნის მინდვრებში სულ სიმინდს უკავია 17,3 მილიონი ჰექტარი. ამჟამად სიმინდი მასობრივად ითესება ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ არასოდეს არ დათესილა შაქრის ჭარხალი ასეთ დიდ ფართობზე, როგორც წელს. 3 მილიონ 150 ათასი ჰექტარი უკავია ჭარხლის ნათესებს შაქრის საწარმოებლად; გარდა ამისა, 1 მილიონ 156 ათასი ჰექტარი შაქრის ჭარხალი განკუთვნილია პირუტყვის საკვებად.

კიდევ ბევრ ადგილას გრძელდება ფეტვის, წიწიბურას, სამოკკოე სელის, ბოსტნეულის თესვა. არის რაიონები ჩრდილოეთში, სადაც ჯერ არ დაუწყიათ მინდვრის სამუშაოები. ნადგი არ არის მზად. ზაფხულივით ცხელი ამინდია შუა აზიის რესპუბლიკებში: აქ უკვე დაიწყო პურეულისა და საადრეო ხილის მოსავლის აღება.

სოფოდეხი. (საკ. კორ.). კავკასიონის მწვერვალები კვლავ თოვლით არის შემოსილი. ალაზნის თავლწარმტაც ველზე კი გაზაფხული მბრძანებლობს. ყურძენი დაისრიმდა, „მინდვრის დედოფალმა“ ფრთა გაშალა. ხორბლის ნათესებს სიყვითლე შეეპარა, ქერმა კი ზრდა დაამთავრა, დამწიფდა, მარცვალთა სიმრავლისგან თავი დახარა. მომკელთ მოუხმობს.

სოფელ ცოდნისკარის ძერკინსკის სახელობის კოლმეურნეობის ქერის ნაკვეთებში ველის ხომალდები შეცურდნენ, შალვა სეფიაშვილი „სტალინეც-6“ მარკის აგრეგატის საჭეს მართავს. როგორც კი მზე ნამს გაშრობს, სეფიაშვილი მკას იწყებს და გვიან ღამედე განაგრძობს. დღენახევარში 20 ჰექტარი ქერი მომკა. ბუნკერიდან 320 ცენტნერი მარცვალი გადმოტვირთა.

სერგო ჭაბაშვილი მკოდნე და უნარიანი მექანიზატორია. მან ტრაქტორის მართვაც კარგად იცის და კომბაინისაც. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს შეუფერხებლივ ამუშავებს. ანდა რატომ უნდა შეფერხდეს, როცა ყველა ნაწილი საგულდაგულოდ გასინჯა, დეტალები, რომლებიც არ ეარგოდა, ახლით შეცვალა. პირველ დღეს გამოცდა ფრიადზე ჩაბარა, რვა საათში რვა ჰექტარი ქერი მომკა.

არც ნიკოლოზ რეშეტოვის, ფარნაოზ ჭაბაშვილის, ნიკოლოზ ნაზაროვის აგრეგატებს ემდურიან ცოდნისკარელი კოლმეურნეები. მკის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ. რაც მთავარია, მათი ნამუშევარი უნაკლოა. ქერს დაბლა მკიან. მათ მიერ მომკილ ნაკვეთებში თავთავი ასაკრეფი არ არის.

კალოზე დილიდან გვიანობამდე არ წყდება მუშაობა. კოლმეურნეები ქერს მინარეულ აშორებენ, აშრობენ და ბეღლებში გზავნიან. მათ 700 ცენტნერი ქერი უკვე დაბინავეს.

ცოდნისკარელები არც ნამჯას ტოვებენ უყურადღებოდ. აგროვებენ, ნაკვეთიდან გამოაქვთ, წვიმამ რომ არ დააზიანოს, საგულდაგულოდ ზვინავენ. პირუტყვისათვის საკვები არ დაკლდებათ.

— ქერი, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იოსებ ჭანტურიამ, — 160 ჰექტარზე გვითესია. ძოსავალი დასაწუნი არ არის, ჰექტარზე საშუალოდ 16 ცენტნერი გამოდის. ქერის მკას სამ დღეში დავამთავრებთ, შემდეგ კი ხორბლის მოსავლის აღებას შეუდგებით.

ცოდნისკარელებმა როგორც კი ნაკვეთები ნამჯისაგან გაწმინდეს, შეუდგენენ ხვნას ნაწვერალზე სიმინდის დასათესად. ამ საქმეში დაწინაურდნენ ტრაქტორისტები გიორგი და სტეფანე ბატაშვილები. ისინი დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ, მალე სიმინდის თესვას შეუდგებიან.

მკიან ქერსა და ხნავენ ნაწვერალს

ნ. ს. ხრუშჩოვი კიევში

კიევი, 29 მაისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია კიევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. მასთან ერთად იყვნენ ამ რაიონის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. [illegible] ნის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. პ. კაზანეცი, უკრაინის სსრ [illegible] თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. სენინი, [illegible] კომიტეტის მდივანი პ. ე. შელესტი.

კიევის ჰესის მშენებლობა გაშლილია ნოლის ვრცელ ტერიტორიაზე ძველად უკრაინული სოფლის ვიშგოროდის ახლოს. შორეულ წარსულში ეს დაბა მძლავრი ციხე-სიმაგრე იყო და იცავდა ძველ კიევს გარეშე მტრებისაგან.

ვიშგოროდი ცნობილია ჩვენს დროშიც. დიდი სამამულო ომის წლებში ამ რაიონში გენერალ კრავჩენკოს ტანკისტებმა გაბედული რეიდი მოაწყეს და გადალახეს დნეპრი. აქედან უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა, რომელსაც გენერალი ნ. ფ. ვატუტინი სარდლობდა, სადაც სამხედრო ხაბჭოს წევრი იყო ნ. ს. ხრუშჩოვი, დაიწყეს შეტევა კიევის განთავისუფლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. იქვე ახლოს, სოფელ ნოვოპეტროვციში, აგებულია მეგალიობელისკი, გახსნილია კიევის განთავისუფლების მუზეუმი.

დღეს ამ რაიონში მშვიდობიანი შრომითი ბრძოლაა მძლავრი დნეპრის შემდგომი დამორჩილებისათვის.

... მდინარის ნაპირისაკენ მიცურავს პატარა მოტორიანი კატერი, რომელშიც არიან ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. ნაპირზე შეკრებილი მუშები მჭუხარე ტაშით ეგებებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს. პასუხად მათ ნიკიტა სერგის-ძე ხელის ქნევით მიესალმება. იქვე ნაპირზე მას შეხვდნენ უკრაინის სსრ სახმშენის თავმჯდომარე ს. ნ. ანდრიანოვი, მშენებლობის უფროსი გ. ი. სტრკოვი, სრულიად საკავშირო ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ უკრაინის განყოფილების დირექტორი დ. ა. კუზნეცოვი და სხვები.

ქვიშის ვეებერთელა ზვინულიდან, რომელიც მიწისმწოვ მანქანას წარმოუქმნია, მოჩანს ჰიდროტექნიკური ავანძის ქვაბული. ერთ ადგილას ჩანს მძლავრი ამწეები, მეორე ადგილას — მიწისმწოვი მანქანები; ხან აქ, ხან იქ დადიან თვითსაცლელი მანქანები, გუგუნებენ ბულდოზერების, სკრეპერების მოტორები...

სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი იყრის თავს ნიკიტა სერგის-ძის გარშემო. იგი მეგობრულად ესაუბრება მუშებს, აინტერესებს მათი შრომითი საქმეები. და როგორც ყველგან, მას აქაც ახლავან ბავშვები.

— სად არის მამაშენი? — ეკითხება ნიკიტა სერგის-ძე ბიჭუნას, რომელსაც მარსთვის მკლავი გაუყრია.

— აი მამაჩემი, — მიუთითებს ბიჭუნა მზემოკიდებულ შუა ხნის მამაკაცზე.

ნიკიტა სერგის-ძე ეკითხება მუშას, საიდან ხარ, ამ მშენებლობაზე როგორ მოხვდიო. ეს არის მიხეილ გუკოვი — მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიკოსი. აქამდე იგი კახოკის ჰესს აშენებდა. ნიკიტა სერგის-ძემ სურათი გადაიღო მასთან და მის შვილთან და უსურვა მექანიკოსტორეს წარმატება მუშაობაში და ბედნიერება ცხოვრებაში.

შემდეგ მშენებლობის ხელმძღვანელებმა უამბეს ნ. ს. ხრუშჩოვს, თუ როგორ მიმდინარეობს კიევის ჰიდროკვანძის მშენებლობა.

დიდხანს გაგრძელდა ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრული საუბარი მშენებლობის ხელმძღვანელებთან და მუშებთან. მან ძვირფასი რჩევა მისცა, მუშაობაში ახალი დიდი წარმატებანი უსურვა ჰიდრომშენებელთა კოლექტივს, რომელსაც სოციალისტური შეჯიბრება გაუშლია სკკპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ნ. ვ. პოდგორნიმ ამასთან დასძინა, რომ მშენებლებმა განიზრახეს ბევრად შეამცირონ კიევის ჰესის მშენებლობის ვადები, და რწმენა გამოთქვა, რომ მშენებლობის კოლექტივი შეასრულებს ამას.

მუშებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მუდამ მზად არიან შეასრულონ სამშობლოს ყოველი დავალება.

მშენებლები გულთბილად და მეგობრულად გამოეთხოვნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, უსურვეს მას წარმატებანი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კენედისთან მომავალი შეხვედრის დროს.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ ჩვენ, მუშები, ყოველთვის დაგიჭერთ მხარს, — განუცხადეს მშენებლებმა.

ნ. ს. ხრუშჩოვი კიევიდან გაემგზავრა

კიევი, 30 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ვენაში მიემგზავრება, უკრაინის დედაქალაქში ორი დღის ყოფნის შემდეგ დღეს საეციალური მატარებლით წავიდა კიევიდან.

ვაგზალზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, მინისტრებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ქალაქის ვაგზლის მოედანზე და მომიჯნავე მაგისტრალებზე შეკრებილი ათასობით კიეველი გულთბილად და გულითადად მიესალმებოდა ნიკიტა სერგის-ძეს.

ხაზღვრამდე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავენ უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ფ. დობრინინი და სხვა ოფიციალური პირები.



გუშინ ჩაის პლანტაციებში

ზეგდიდი გუშინ რაიონში მოკრიფეს 383 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილია 4.672 ტონა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 509 ტონით აღემატება. შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში **ციალა შენგელიამ, შალვა აბლოთიამ, ძაბული მარღანიამ** 70-85 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფეს.

წალენჯიხა რაიონის მეჩაიეებმა სულ მოკრიფეს 1.836 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს შარშანდელთან შედარებით 310 ტონით მეტია. სოფელ ჯვარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში **ვენერა ქარდავამ** მოკრიფა 71 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში **შურა მიქავამ** — 121 კილოგრამი, ლიის კოლმეურნეობა „საქართველოში“ **მარგო მებონიამ** — 112 კილოგრამი.

ხობი რაიონის მეჩაიეებმა მაისის დავალება სამი დღით ადრე 100,7 პროცენტით შეასრულეს. ხიბულის საბჭოთა მეურნეობაში **ეთერ ახალაიამ** მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული, **რაისა კრავჩენკომ** — 85 კილოგრამი, **ნაზი თოდუამ** — 92 კილოგრამი, **ლიდა აქსენენკომ** — 90 კილოგრამი.

ჩხოროწყუელი მესიმინდეები

ჩხოროწყუელმა კოლმეურნეებმა წელს სამარცვლედ 3.120 ჰექტარი სიმინდი დათესეს. ისინი 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის იბრძვიან.

კოლმეურნეები კარგა ხანია შეუდგნენ კულტივაციას და თოხნას. რაიონში უკვე გათოხნილია ასობით ჰექტარი სიმინდი.

თოხნაში დაწინაურდნენ სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ლენინის დროშა“, პირველი ჭოლის და ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობები.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის მებრძოლებმა — ნაფიჩხოველმა შოთა დარსალიამ, ხაბუმელმა — რეოსი კაჭარავამ, ახუთელმა — დურუ ბოკუჩავამ წარმატებით დაამთავრეს სიმინდის პირველი თოხნა და უხვი მოსავლის მიღების ყველა პირობას ჰქმნიან.

შ. ფირცხალავა.

ამაღელვებელი წუთები

სკოლებში გამოსაშვები გამოცდები დაიწყო

„... მის ნაწერებში ყოველთვის იყო დიდი, ამოუცნობი სიბრძნე, დაობლებულ ბუკს უსმენდა იგი თუ სტუმარ-მასპინძლობის წმიდა წესს იცავდა, მთების ნაფიქრის გასაგებად ისწრაფოდა თუ სამშობლოსთვის თავდადებულ ვაჟკაცს ასამდა ხოტბას.

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

ასე წერს ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაში თავის თემას „სამშობლოს სიყვარულის იდეა გიორგი-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში“ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე მერაბ გველესიანი. და განა მარტო მერაბმა აირჩია ეს თემა. ვაჟას შემოქმედებას წერენ თანაკლასელები თეიურ ჯორბენაძე, ვანო ზურაბიშვილი, ნონა ჯულუხაძე და სხვები.

მაგრამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად მარტო ეს თემა არ იყო თბილისის კალინინის რაიონის განათლების განყოფილების მიერ შერჩეული. მასთან ერთად დაფაზე ეწერა — „სოციალისტური სოფლის მშენებელ ახალ ადამიანთა სახეები ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ მიხედვით“ და „საქართველოს გმირული წარსულის ასახვა ა. წერეთლის შემოქმედებაში“.

გაისმის ზარის ხმა... მერხებთან არავინ მერხეულა. ეს ნაცნობი წკრიალი მათ აღარ უხმობთ გარეთ, თუმცა დერეფნებიდან მოისმის ბავშვების ყიჟინული.

— ესენი დაბალი კლასების მოსწავლეები არიან, — გვეუბნება სკოლის დირექტორი ნ. კიკვაძე, ხვალ ოთხწლეულის ბავშვები მეცადინეობას დაამთავრებენ, დაიწყება მათთვის საზაფხულო არდადეგები. დანარჩენი, V-VI კლასებისათვის კი მეცადინეობა 3 ივნისს შეწყდება, ამავე თვის 5 ივნისიდან ერთ კვირას ისინი საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სკოლის სახელოსნოებში, სასკოლო ნაკვეთზე და სხვ.

მეშვიდეკლასელები, როგორც გამოსაშვებნი, გამოცდებისათვის ემზადებიან. 1 ივნისს ისინი პირველ საგანს ჩააბარებენ.

რაც შეეხება მერვე-მეცხრე კლასელებს, ისინი საწარმოო პრაქტიკას გადიან თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში, აგრეთვე კრწანისის მეურნეობაში.

მერხებთან დახრილი მოსწავლეები გაგაგრძობენ ფიქრს, წერას, ვინ იცის ამ 50 ახალგაზრდა გოგონადან და ჭაბუკიდან რამდენი სახელოვანი შვილი, რამდენი მუშა, ინჟინერი, მეცნიერი, მწერალი, ექიმი თუ მასწავლებელი აღზრდება დედასამშობლოს. ისინი ხომ სახელოვანი ტრადიციების მქონე სკოლას ამთავრებენ, სკოლას, სადაც არაერთმა ჩვენმა სასიქადულო მამულშვილმა მიიღო საშუალო განათლება.

ლ. ხუგულური.

სურათზე: — წერითი გამოცდა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის I სკოლაში. სკოლის დირექტორი ნ. კიკვაძე (მარჯვნიდან) და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. გიგაშვილი ათვალიერებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ 1961 წლის 12-14 ივნისს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიმართოს მეცნიერ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

თათბირი მოისმენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ამხ. მ. ვ. კელდიშის მოხსენებას — სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნა „ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოების სამეცნიერო დაწესებულებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერი მუშაკები.

ჩხოროწყუელი მესიმინდეები

ჩხოროწყუელმა კოლმეურნეებმა წელს სამარცვლედ 3.120 ჰექტარი სიმინდი დათესეს. ისინი 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის იბრძვიან.

კოლმეურნეები კარგა ხანია შეუდგნენ კულტივაციას და თოხნას. რაიონში უკვე გათოხნილია ასობით ჰექტარი სიმინდი.

თოხნაში დაწინაურდნენ სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ლენინის დროშა“, პირველი ჭოლის და ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობები.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის მებრძოლებმა — ნაფიჩხოველმა შოთა დარსალიამ, ხაბუმელმა — რეოსი კაჭარავამ, ახუთელმა — დურუ ბოკუჩავამ წარმატებით დაამთავრეს სიმინდის პირველი თოხნა და უხვი მოსავლის მიღების ყველა პირობას ჰქმნიან.

შ. ფირცხალავა.

ნ. ს. ხრუშჩოვი კიევიდან გაემგზავრა

კიევი, 30 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ვენაში მიემგზავრება, უკრაინის დედაქალაქში ორი დღის ყოფნის შემდეგ დღეს საეციალური მატარებლით წავიდა კიევიდან.

ვაგზალზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს უკრაინის კომ

კომუნისტი

სამეცნიერო-საკვლევი ბაზა — ელექტროვიბრაციულ ტექნიკას

უკანასკნელ წლებში ფართო განვითარება ლა მასობრივი გამოყენება ჰპოვა ელექტროვიბრაციულმა ტექნიკამ, თანდათან ფართოვდება ელექტროვიბრაციული მანქანების გამოყენება სამშენებლო და სამთამადნო საქმეში, მეტალურგიულ და ქიმიურ წარმოებაში, კოების მრეწველობაში და მანქანათმშენებლობაში. უნდა ველოდოთ ელექტროვიბრაციული მანქანების გამოყენების სფეროს მნიშვნელოვან გაფართოებას სოფლის მეურნეობაში, ყოფაცხოვრებაში და სახალხო მეურნეობის მრავალ სხვა დარგში.

ელექტროვიბრაციული მანქანების გამოყენებით საგრძნობლად ადვილია მრავალი საწარმოო პროცესის ავტომატიზაციის განხორციელება. დიდ გამოყენებას ჰპოვებენ ელექტროვიბრომანქანები მაღალი ტემპერატურის მქონე ნაყარი და ნაჭროვანი მასალების ან ისეთი მასალების ტრანსპორტირებისათვის, რომლებიც ჰერმეტიზაციის პირობებში დამუშავებას საჭიროებენ.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ვიბრაციული მანქანების წარმოების მასშტაბი, ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული მუშაობის დონე ჯერჯერობით ვერ უსწორდება ელექტროვიბრაციული ტექნიკის მზარდ მნიშვნელობას და მასზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

ეს იმით აიხსნება, რომ ელექტროვიბრაციულ მანქანებს ამზადებს ბევრი არასპეციალიზებული ქარხანა. ხოლო საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერიმენტო ძუძამბა დაქუცმაცებულია სხვადასხვა სამეურნეო კვლევითს ორგანიზაციებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს შორის.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების აკადემიკოსების ი. არტობოლევსკის, ა. ბლაგონრავოვისა და სხვათა მიერ პრესაში 1959 წლის მარტში დაყენებული იყო საკითხი საბჭოთა კავშირში ვიბროტექნიკის განვითარების საჭიროების შესახებ, მაგრამ ხელშესახები შედეგი ამას არ მოყოლია, თუმცა მეცნიერთა პროგნოზი ვიბრაციული ტექნიკის განვითარების მაღალი ტემპის შესახებ სავსებით გამართლდა. ამის დამჯერებელ მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა.

1958 წელს სტალინირში შეიქმნა ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა". ამ მოკლე ხნის განმავლობაში ქარხანა საგრძნობლად გაფართოვდა, მის პროდუქციას — სავიბრაციო მანქანებს წარმატებით იყენებენ ჩვენი ქვეყნის სამთო და მეტალურგიულ მრეწველობაში, დიდ მშენებლობებზე.

გათვალისწინებულია, რომ ქარხნის სიმძლავრე მოკლე ხნის განმავლობაში ორჯერ და მეტად გავზარდოთ, მაგრამ ასეთი დიდი წარმადობის შემთხვევაშიც ქარხანა ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი მრეწველობის მოთხოვნას ელექტროვიბრაციულ მანქანებზე.

სტალინირის „ელექტროვიბრომანქანა" წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ერთადერთ სპეციალიზებულ საწარმოს, რომელიც უშვებს ძირითად და მხოლოდ ელექტროვიბრაციულ მანქანებს. მის მუშაობას ახასიათებს ერთი თავისებურება, რომლის დაუძლეველად შემდგომი წინსვლა არ შეიძლება: თუ სხვა ელექტროტექნიკურ ქარხნებს შეუძლიათ ისარგებლონ საბჭოთა კავშირში არსებულ ანალოგიურ საწარმოთა საროეტო მასალებით ან გადმოიღონ მათი ტექნოლოგიური გამოცდილება, სტალინირის ქარხანა ამ მხრივ მეტად არახელსაყრელ პირობებშია. საკმარისია ითქვას, რომ ქარხანა უშვებს მანქანებს იმ პროექტების მიხედვით, რომლებსაც ამუშავებს ლენინგრადის სასარგებლო წიაღისეულთა მექანიკური დამუშავების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტი. ეს იხსენებს ელექტროვიბრაციული ტექნიკის დარგში, რასაკვირველია, არ წარმოადგენს სპეციალიზებულ ორგანიზაციას. საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ქარხნიდან დიდი დაშორება უარყოფითად მოქმედებს ქარხნის მუშაობაზე: საპროექტო და კონსტრუქციული შეუსაბამობები ლიკვიდაციისათვის ქარხანას უხდება ბევრი დროისა და სახსრების ხარჯვა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიქმნა ელექტროვიბრაციული ტექნიკის პატარა ლაბორატორია, მაგრამ პატარა ლაბორატორიას არ ძალუძს გადაჭრას ის დიდი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას ვიბრაციული ტექნიკის განვითარების დარგში. თანამედროვე ვიბრაციულ მანქანებს ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანება ახასიათებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მანქანის დიდი შეფარდებითი და აბსოლუტური წონა. ეს საგრძნობლად აძვირებს მანქანას და არამბილურს ხდის მას. ვიბრაციული მანქანის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მისი დრეკადი ელემენტი, რომელიც ჩვეულებრივი საძორტიზაციო დრეკადი ელემენტისაგან განსხვავებით უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ვიბრომდგრადობით და ენერგიის მცირე შინაგანი დაკარგვით. დღეისათვის ვიბრაციულ მანქანებში იყენებენ ჩვეულებრივ ზამბარულ ფოლადს, რის გამო ვიბრომანქანების მარგი ქმედების კოეფიციენტი მეტად დაბალია. ამიტომ ვიბრაციული ტექნიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს დრეკადი ელემენტების მასალების დამზადების ტექნოლოგიის, მათი რაციონალური კონსტრუქციებისა და ტიპების შერჩევისათვის სათანადო კვლევის წარმოება. გადაწყვეტას მოითხოვს აგრეთვე ელექტროვიბრაციული მანქანებისათვის ყველაზე რაციონალური ელექტროამძრავის და მისი მართვის სქემების შერჩევის საკითხიც. აქ დასახელებული მხოლოდ ნაწილი იმ პრობლემებისა, რომლებიც წარმოიშობა ელექტროვიბრაციული მანქანების პროექტირებისა და კონსტრუირების პროცესში.

ბუნებრივია, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა და ელექტროვიბრაციული ტექნიკის შემდგომი განვითარება არ ძალუძს არც სტალინირის „ელექტროვიბრომანქანის" ახალგაზრდა კოლექტივს, არც საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვიბრაციული ტექნიკის ლაბორატორიას.

ჩვენი აზრით, სავსებით მომწიფდა საკითხი საქართველოში სპეციალიზებული ელექტროვიბრაციული ტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ.

ასეთ ინსტიტუტს შეიძლება დაევალოს თეორიული კვლევა ელექტროვიბრაციული ტექნიკის დარგში, ელექტროვიბრაციული მანქანების საცდელი ნიმუშების კონსტრუირება და დამზადება, მათი გამოცდა და მრწველობაში დანერგვა, ვიბრაციული მანქანებისათვის საჭირო აპარატებისა და გამოსაცდელი სტენდების შექმნა, ცალკე სტენდების მოწყობა მანქანების ნაწილების ვიბრომდგრადობაზე გამოსაცდელად, ელექტროვიბრაციული მანქანების გამოყენების ახალი სფეროების გამონახვა პირველ რიგში სოფლის მეურნეობაში და ყოფაცხოვრების დარგში და ა. შ. ამავე ინსტიტუტს უნდა დაევალოს აგრეთვე ტექნიკური ინფორმაციის შედგენა საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში ელექტროვიბრაციული ტექნიკის მიღწევების შესახებ.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მრეწველობის ახალი დარგის სპეციალისტების — ვიბრაციული ტექნიკის ინჟინრების მომზადებას.

ი. კუდუხოვი,
სტალინირის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის" დირექტორი;

ბ. ნინოშვილი,
თბილისის ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ელექტროვიბროტექნიკის ლაბორატორიის გამგე;

ა. ძიძიგური,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო სწქმის ინსტიტუტის დირექტორი, საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი;

ა. კოტარია, მ. ხვინგია,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტები.

განა ძნელი საქმეა?!..

კარგად ცხოვრობენ ტყიბულელი მეშახტეები. შრომის ინაზღაურების ახალი ნორმები, რაც ამ ერთი წლის წინათ იქნა შემოღებული, დანაზოგების დაგროვების უდიდეს შესაძლებლობას იძლევა. მეშახტეთა დიდი ნაწილი ამ დანაზოგებით მსუბუქ ავტომანქანებს იძენს.

ჩვენ, ავტომანქანის მფლობელებს, გვიღელვებს ერთი საკითხი. ეს არის მანქანის სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობის მოუგვარებლობა. ტყიბულში — რესპუბლიკის ამ მსხვილ სამრეწველო ქალაქში, არც ერთი ასეთი ტიპის მაღაზია არ არის. ამით სარგებლობენ გადამყიდველები. ისინი ჩალის ფასად ღირებულ სათადარიგო ნაწილებს მამასისხლად გვიფასებენ.

რატომ არ შეიძლება ტყიბულში გაიხსნას მაღაზია, სადაც მანქანის სათადარიგო ნაწილები გაიყიდება?

პ. ჭეიშვილი.
სოციალისტური შრომის გმირი. ტყიბულშახტმშენის სამმართველოს გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ივ. ორჯონიკიძე,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეორე უბნის უფროსი.

მკითხველთა წერილები, შენიშვნები, წინადადებები

გმირთა უკვდავება

არიან ქალაქები, რომელთა სახელი მთელმა მსოფლიომ იცის. ასეთ ქალაქებს შავი ზღვის ფლოტის ოფიცერი ა. გოქაძე.

ქართველ მეომართა ძეგლის მახლობლად აღმართულია გაპრიალებული გრანიტით მოპირკეთებული სტელა — სომეხ მეომართა ძეგლი, შექმნილი არქიტექტორ დ. ტოროსიანის პროექტის მიხედვით. მის წინ ქალის — დედასამშობლოს ჰორელიეფური გამოსახულებაა.

ორივე ძეგლი გადაწყვეტილია ეროვნული არქიტექტურული ფორმებით. მათზე გაკეთებულია წარწერები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. სევასტოპოლელებმა საარქივო მონაცემებით აღადგინეს სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულთა რამდენიმე ათეული გვარი, რომლებიც უკვდავყოფილია.

ძეგლებისა და ძმათა სასაფლაოების გარშემო დარგულია სხვადასხვა კავკასიური მცენარეები. თვითეულ მათგანს აქვს წარწერა, სადაურია იგი. აქ არის ჭადრები და ხკუმპიები. სამგორის სატყეო მეურნეობიდან ქართული მუხა, ცაცხვი, რცხილა, ნეკერჩხალი, წიფელი, მთის ბოყვი ლაგოდეხიდან, ლეღვი, ბრწყეული, კუნელი, ზღმარტლი სიღნაღიდან, ძელქვა ქუთაისიდან და მრავალი სხვა.

უახლოეს ხანებში შედგება ძეგლების საზეიმო გახსნა.

დ. ბარულია.
ქ. სევასტოპოლი.



სურათზე: ძეგლი, რომელიც აუგეს 414-ე ქართულ დივიზიას.
ფოტო ბ. შეინინისა.

„დიდი ქიმია" ვერ ითმენს...

საბჭოთა კავშირში ქიმიური მრეწველობის 484 საწარმო გამოცხადებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებად. მათ რიცხვში შედის რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის წარმოება და ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა. ეს ობიექტები, რომლებიც ახლა მშენებლობის პროცესშია და მომდინარე შვიდწლედში უნდა ამუშავდეს, იმის გარანტიას იძლევა, რომ მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული რესპუბლიკის მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნებზე.

ქიმმრეწვმშენისა და სინთეზმშენის სამმართველოები, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდეს მშენებლობის გეგმები, დროულად ამოქმედდეს ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები.

ამას წინათ გაიმართა ქიმკოსთა და მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. როგორც აქ აღინიშნა, უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშენებლობის ტემპები. დაცულია ბევრი ობიექტის დამთავრების ვადები და გრაფიკები. მაგრამ „დიდი ქიმიის" მშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ერთ წელზე მეტია, რაც მშენებლები ველოდებით, როდის მოგვცემენ დაძაბული რკინაბეტონის 18-მეტრიან ძელებს. მაგრამ ისინი ჯერ არ ჩანს. ეს კი მთავარი კორპუსის მშენებლობის შეფერხებას იწვევს. ხშირია მოცდენა ბეტონის ხსნარის უქონლობის გამო. ცუდად არის დაყენებული სადურგლო ნაწარმით მომარაგებაც. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მშენებლების მომარაგება რკინის არმატურითა და სამუშაო იარაღებით.

ჩვენთან სერიოზული შემაფერხებელი მიზეზია მექანიზმების ნაკლებობა, მაგალითად, ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მთავარი კორპუსის მშენებლობისათვის საჭიროა მუშაობდეს 5 ამწე მექანიზმი, ფაქტიურად, მუშაობს 3. შრომის ნაყოფიერებას ამცირებს ავტომაწყვების, ექსკავატორების, ბულდოზერების ნაკლებობა. ამ მხრივ მეტ დახმარებას მოველით ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტისაგან.

მშენებლობაზე საკმარისი კვალიფიციური კადრები არ არის იმის გამო, რომ ძალზე ნელა ვაშენებთ საცხოვრებელ სახლებს. სამუშაოზე ვერ ვიღებთ ახალ მუშებს. ვერც მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების საქმეში გვაქვს ყველაფერი რიგზე. მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს ქალაქის ტრანსპორტისა და მშენებლობის ობიექტებთან გახსნილი სასადილოების მუშაობა. მუშები სამართლიან საყვეოურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ სასადილოებში დაბალხარისხოვანი კერძები მზადდება.

„დიდი ქიმია" მუშაობაში ხელისშემშლელ მიზეზებს ვერ ითმენს. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გაზეთი „**კომუნისტის**" სპეციალური საგუშაგო: **ხ. ბაზროვი** — სინთეზმშენის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, **ი. არაბელიძე** — ტექნიკური განყოფილების უფროსი, **რ. სოლომონია** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **მ. მუნჯიშვილი** — სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე, **ბ. დემეტრაშვილი** — ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

მკითხველთა წერილებიდან

გზა—ხელოვნურ დაწვიმებას

ხელოვნური დაწვიმება სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მორწყვის ეს ხერხი სხვა ხერხებთან შედარებით იაფი ჯდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჯერჯერობით ნაკლებად არის დანერგილი.

ელექტროენერგიის, ტრაქტორების ძრავების და სპეციალური შიდაწვის ძრავების გამოყენებით შესაძლებელია მოვახდინოთ წყლის მიწოდება ტუბობებით ნებისმიერ მანძილზე. ეკონომიურად დიდად ეფექტურია ხელოვნური დაწვიმება ისეთი ძვირფასი კულტურებისათვის, როგორიც არის ჩაი, ვაზი, ხიხილი, ტუნგო. მანქანური მორწყვა შეიძლება განხორციელდეს წყლის მიწოდებით მთის კალთებზე.

როგორია წყალმომარაგების წყაროები? მორწყვისათვის შეიძლება გამოიყენოთ წყლის მიწოდება მდინარეებიდან, ღელეებიდან, ჭიებიდან. სასურველია მოვაწყოთ თოვლის და წვიმის წყლის დაგროვება დროებით ორმოებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელოვნური წვიმა რამდენჯერმე ამცირებს წყლის ხარჯს მოსარწყავი ფართობის ერთეულზე შედარებით მორწყვის სხვა ხერხებთან. სამშალუბას იძლევა გარეცხოს მცენარეთა ფოთლები მტვრისაგან და ამითაც ინტენსიური გახადოს მცენარეთა ზრდა.

ხელოვნური დაწვიმების პერსპექტივები დიდია ჩვენში. 1960 წელს ხელოვნური დაწვიმება საქართველოში გამოყენებული იყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხახნავ-სათესის 2,1 პროცენტ ფართობზე, ხოლო 1961 წელს ამ პროცენტმა 2,7 უნდა მიაღწიოს. მაგრამ დაწვიმების ეს მასშტაბი სრულებით არ არის საკმარისი და მისი ზრდა გაცილებით უფრო ინტენსიური უნდა იყოს. იგი ვენახის, ხეხილის ბაღებისა და ჩაის პლანტაციების გარდა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ბოსტნებშიც.

გასულ წელს ორი კონსტრუქციის საწვიმებელი აპარატის ДДА - 52 და ДДА - 59 გამოყენებით მოირწყა 2,75 ათასი ჰექტარი. 1961 წლისათვის კი განსაზღვრულია ამ კონსტრუქციის აპარატების გამოყენებით მოირწყას 4 ათასი ჰექტარი, რითაც მიღწეული იქნება 0.08 მილიონი მანეთი პირობითი ეკონომია და დაიზოგება 26.660 კაცდღის შრომა.

ხელოვნური დაწვიმება ეკონომიის დიდ ეფექტს გვაძლევს. მებოსტნეობაში იგი საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო პამიდორის, კომბოსტოს და სხვა ბოსტნეულის რამდენიმე მოსავალი წელიწადში.

აღსანიშნავია ასეთი გარემოებაც. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ ტ. ჩხაიძემ ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში გასულ წელს შეზიდა 30 ტონა ტორფი, 1961 წელს უნდა შეზიდოს 50 ტონა. მეჩაიე ლგელა მაღულარიამ შარშან პლანტაციაში შეტანა 30 ტონა ტორფი, მიმდინარე წელს უნდა შეზიდოს 30 ტონა ნაკელი. ამ სამუშაოს შესრულება ხელით ხდება. ამავე დროს ჩეხოსლოვაკიაში ფართოდ იყენებენ მაწვიმებელ აპარატებს სასუქის შესატანად პლანტაციებში. ხმარობენ ვერტიკალურ დგუშიან ტუმბოს, რომლის მწარმოებლობა წამში 500-750 ლიტრს უდრის, სასუქისაგან თხევადი მასის მომზადებისათვის კი სპეციალურ პროპელერულ სარეველას ხმარობენ.

ჩვეულებრივ საწვიმებელ დანადგარებს თუ გამოვიყენებთ ამ სამუშაოებში, იგი 2-3-ჯერ შეამცირებს ხარჯებს.

შეიძლება გამოვიყენოთ დგუშიანი ტუმბოების მაგიერ ჩვეულებრივი ფიცალური ტუმბოები ან მცირეგაბარიტიანი მაწვიმური ტუმბოები.

მაწვიმებელი აპარატები, რომლებსაც ჰიდრომექანიზმების ქარხანა უშვებს, ადვილი დასამზადებელია და მათი გამოშვება მკვეთრად უნდა გადიდდეს. მილები შეიძლება გამოვიყენოთ ბრეზენტისან 50 მმ. დიამეტრით ან პოლიეთილენისა. გადასატანი ტუმბოაგრეგატის გამართვა ელასტიკური მილების გამოყენებით მცირე დროს მოითხოვს — ორი კაცი გამართავს დანადგარს 1-1,5 საათის განმავლობაში. თუ მილების შეერთებაც სწრაფგამთიში კონსტრუქციისა იქნება.

ა. ჯვარუელიშვილი.
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ოქროსფერ ყვავილ-ბალახებიანი ბალიშები

ბალიშებზე ოქროსფერ ყვავილ-ბალახებიანი ბალიშები ბევრ ადგილას ამზადებენ. ეს ბალიშები ბევრ ოჯახში ამშვენებენ ოთახებს. ბალიშებზე ოქროსფერ ყვავილ-ბალახებიანი ბალიშების ამოქარგვა ადვილია. ამ

სიჯუვაძვირი

პარტიულ თემაზე

ქარგად ახსოვს გიორგი ცაგარეიშვილს 1950 წლის თებერვლის დღე, აგროტექნიკოსის დიპლომით რომ მოაწერა მშობლიურ კოლმეურნეობას.

იცნობდნენ თანასოფლელები. წულუკიძის რაიონის გოჩა ჯიხაშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გიორგის, მაგრამ პრაქტიკულ სამუშაოზე, საქმეში არ გამოეცადათ მისი, როგორც სპეციალისტის ღირება, უნარი...

და, როცა ახალ აგრონომიკოსზე გაიმართა ბაასი, ბევრმა თავი შეიკავა, ზოგიერთები კიდეც ახმაურდნენ: „აკლავ ახალი აგრონომიკოსი!“, „ერთობ ახალგაზრდაა!“, „არაფერი უშავს, ჯერ ცოტახანს რიგით სამუშაოზე გაიაროს პრაქტიკული სკოლა, სამუშაო ყელამდეა, მერე კი ვნახოთ!“.

სიტყვაძვირია გიორგი. არაფერი უთქვამს, არც არაფერი სწყენია. მეორე დღესვე ითხოვა მისთვის დასამუშავებლად გამოეყოთ ნახევარი ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი, რომელზედაც ოთხჯერ მეტი მოსავალი მიიღო, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. ჩაის პლანტაციებშიც იმუშავა იმ წელიწადს.

ერთი წელი ადა რა არის, მაგრამ ამ მოკლე ხანმაც გამოაჩინა ახალგაზრდა სპეციალისტი. მეორე წელს მას ბრიგადირობა შესთავაზეს. აქაც ისახელა თავი გიორგიმ.

საეჭვო რაღა იყო! 1952 წელს, როცა გიორგი ცაგარეიშვილს აგროტექნიკოსას პოსტი ჩაბარეს, არც ერთ კოლმეურნეს არ შეუკავებია თავი. პირიქით, ყველამ ქებით მოიხსენია.

გავიდა წლები... კომკავშირელი აგროტექნიკოსი სკკპ რიგებში მიიღეს. მერე კი, ამ სამი წლის წინათ, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნადაც აირჩიეს.

რა დასამალავია, პარტბიუროს მდივანს თავდაპირველად სიძნელეები შეხვდა. პარტიული ორგანიზაცია მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული საკოლმეურნეო აქტივთან. სწორად არ ჰქონდა განაწილებული თავისი ძალები.

ახალმა მდივანმა კარგად გაითვალისწინა, რომ მთავარი იყო ყოველდღიური მუშაობა ადამიანებთან, კადრებთან, რომლებზეც დამოკიდებულია ყოველი საქმის წარმატება. პარტიულმა ორგანიზაციამ ცოტა როდი იმუშავა იმისათვის, რომ კოლმეურნეობაში ხალმძღვანელ პოსტებზე შეეჩინა შემოწმებული, პატიოსანი, საქმის მცოდნე და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი გულშემატკივარი ადამიანები.

— ჩვენთან, — თქვა გიორგიმ, — 32 კომუნისტია, და ყველა საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობს. ყველანი, ასაკის მიუხედავად, შრომის პირად მაგალითს უჩვენებენ უპარტიო კოლმეურნეებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო?

— და მაინც ჩამოთვალა გიორგიმ.

კომუნისტ გალინა ქაშობაძის სახელს მთელი რაიონი იცნობს. თუმცა იგი ძირითადად მეჩაიეა, მაგრამ ბევრ მესიმინდესა და მეაბრეშუმესაც აჯობა. შარშან მან მოკრიფა ოთხი ტონა ჩაის ფოთოლი, დასამუშავებლად გამოყოფილ 0,8 ჰექტარზე მოიყვანა 44 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. აგრეთვე მიიღო 97 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. კომუნისტი ქალი წელს უფრო მეტს გვპირდება, უფრო თავგამოდებით შრომობს.

სხვა კომუნისტებზეც ილაპარაკა პარტბიუროს მდივანმა. გაგაგონეთ ბრიგადირი მამონტა ცაგარეიშვილი, რომელიც მოწინავეებად ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა, საუკეთესოდ უძღვება საქმეს. დიდი ხანი როდია, რაც კომუნისტი ტიტი ცაგარეიშვილი მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობს, მაგრამ კარგი ორგანიზატორის ხელში საქმე სწრაფად დაიძრა წინ. განვლილ ოთხ თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 586 კილოგრამი რძე, 126 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო მიღებული. ამ წარმატებისათვის კოლმეურნეობამ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

კომუნისტები სიმინდის უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან. მექანიზატორმა ავთანდილ ბახტაძემ, რომელიც რაიონის მექანიზატორთა შეჯიბრების ინიციატორია, გათვალისწინებული ოცი ჰექტარის ნაცვლად სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა ორმოცი ჰექტარზე. იგი მთელ ფართობს კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებს, ამასთან თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლის მიღებისათვის იბრძვის. მიჩენილი ნაკვეთების ყოველ ჰექტარზე 70-80 ცენტნერი სიმინდის მოყვანა იკისრეს კომუნისტმა მესიმინდეებმა არტემ სალინაძემ, აკაკი და ვასილ ჩომახიძეებმა.

უპარტიო აქტივისტებიც, კომკავშირელებიც ქებით მოიხსენია გიორგიმ. ცნობილი მეაბრეშუმე მარო კეთილაძე ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეა. კოლმეურნეთა პატივისცემით სარგებლობენ ავრეთვე უპარტიო მექანიზატორი ბონდო ცაგარეიშვილი, მწველავი თამარ გოგავა, მესიმინდე ოთარ ცაგარეიშვილი, კომკავშირელი მეჩაიე ნანული ჩომახიძე და სხვები.

პარტბიუროს მდივანმა ისე დაამთავრა ამ ადამიანებზე საუბარი, რომ თავის თავზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ბოლოს, როცა საკუთარ საქმიანობაზე მეორედ შეეკითხეთ, ძლივს გიამბეთ რამდენიმე სიტყვა:.

—რა სათქმელია, ისეთი არაფერი გამიკეთებია, განა ღირს კაცმა შენს დამსახურებაზე სიტყვა გაგაგრძელო?

არც გაუგრძელებია სიტყვა გიორგის. სამაგიეროდ სხვები ალაპარაკდნენ სიტყვაძვირი ადამიანის შესახებ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გივი ანდრიაძემ ყველაზე უკეთ იცის გიორგი ცაგარეიშვილის ავკარგი, მისი საქმეები.

— ჩვენს გიორგის, — თქვა თავმჯდომარემ, — ყველაფერ ნახავთ, ბრიგადაც და სიმინდის ყანებშიც, მეჩაიეებთანაც და მეაბრეშუმეებთანაც, ყველაფერს სწვდება მისი ფხიზელი პარტიული თვალი.

ყველაზე მეტად „მინდვრის დედოფალი“ უყვარს პარტბიუროს მდივანს. იგი სიმინდის წარმოების გადიდებას მიუდგა არა როგორც მრავალთაგან ერთ-ერთ ჩვეულებრივ ღონისძიებას, არამედ როგორც პარტიის მიერ დასახულ დიდმნიშვნელოვან საარსებო ამოცანას.

პარტბიუროს მდივანმა პირველმა დააყენა „ქვაფსკერის“ მინდვრებში სასიმინდედ ყამირი მიწების ათვისების საკითხი. ეს აზრი ყველამ მოიწონა. ახლა „ქვაფსკერაში“ მწვანე კვადრატებია. მესიმინდეები დიდ იმედებს ამყარებენ ამ ახალ ბეღელზე.

გიორგი ცაგარეიშვილის ინიციატივით დამატებით აითვისეს 27 ჰექტარი ყამირი, წესრიგში მოიყვანეს სარწყავი ქსელი ას ჰექტარამდე სიმინდის ნათესის მოსარწყავად, ამდენსავე ფართობზე ნიადაგის გასანოყიერებლად დამატებით გამოიყენეს მდინარე ცხენისწყლის შლამი. გიორგის გადაწყვეტილი აქვს შარშანდელი 30 ჰექტარის ნაცვლად ხელოვნური დამტვერვა მოაწყოს სამარცვლედ ნათეს სიმინდის მთელ ფართობზე — 260 ჰექტარზე.

არსად, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების არც ერთ მუხლში ჩაწერილი არ არის, რომ კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი მოვალეა დასამუშავებლად გამოიყოს ნაკვეთი. მაგრამ გიორგის აქვს თავისი დაუწერელი მორალი— იმის შეგნება, რომ მეტი სიმინდისათვის

•ამ სახალხო ლაშქრობის ◊ ეკამს გვერდში ამოუდგეს თანასოფლელებს. აკი ამიტომაც ასე საგულდაგულოდ დაამუშავა მისთვის გამოყოფილი ერთი ჰექტარი

ნაკვეთი, სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა და პირობა დადო სულ მცირე 70 ცენტნერი მარცვალი მიიღოს.

გიორგის მეუღლე ეთერ გოგავა კოლმეურნეობის აღმრიცხველია. ყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი. მაგრამ იგი ყველაფერს ასწრებს, როგორც შარშან, მიდინარე წელსაც ეთერი აბრეშუმის ჭიასაც კვებავს, და ჩაის მწვანე ფოთოლსაც კრეფს. სულ ცოტა ორი ტონა „მწვანე ოქროს“ მოკრეფას და 80 კილოგრამამდე აბრეშუმის პარკის მიღებას გვპირდება.

აი რისთვის სცემენ პატივს გიორგი ცაგარეიშვილს, როგორც კომუნისტსა და პარტბიუროს მდივანს.

არა, პარტბიუროს მდივანს არ უყვარს და არცა სჭირდება გარეგნული, მოჩვენებითი ხმაური. მისი აუტორიტეტი შექმნილია არა სიტყვებით, საზეიმო დაპირებებით, არამედ საქმით, ცოდნით, პირადი მაგალითით.

იცის გიორგიმ, თუ როგორ გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მისი მდივნების როლი და პასუხისმგებლობა განსაკუთრებით ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. ისიც ჩინებულად იცის, როგორ მუშაობასაც არ უნდა ეწეოდეს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, საბოლოო ანგარიშით მისი საქმიანობა შეფასდება არა სიტყვებით, სხდომებითა და ოქმებით, არამედ, რაც მთავარია, საქმით, სამეურნეო შედეგებით.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნაკადული მთაში.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ამ ბავი ოქროსა და სულის განძისა

...**ეარანზე** მოჩანს გადახნული მინდვრები და ტრაქტორების სილუეტები, რკინის გოლიათები ხან წინა პლანზე ჩნდებიან და ხან ბინდისფერ სივრცეში იკარგებიან. კადრები იცვლებიან და აზრიც სხვაგვარი ეძლევა იმავე მიწას და იმავე პეიზაჟს. შრომის აღმფერენა იგრძნობა ყველგან და ამ ფერულშია ჩაბმული საფლიაც. მან კარგად იცის, რომ „მიწის ფასი ამ ქვეყანაზე არაფერია“. მიწა კეთილია და ძლიერი, ბაოქიანი და სიცოცხლის მომნიჭებელი. ქართველი გლეხკაცი მიწასთან ხომ ისე ალერსიანია და პოეტური, როგორც ჭაბუკი სატრფოს წინ.

ასეა საფლიაც. იგი გრძნობს მიწის ძალასა და სიმშვენიერეს. მწერალს ერთ დიტალში, მაგრამ ოსტატურად ამჟღ. ნათქვამი საფლიაზე: „—რა მიწაა?—წამოიძახა აღტაცებით და ხელში მოფცვნა“. და როცა იგი ამას ამბობს, თითქოს ჩვენს თვალწინ იდგეს, ისე კარგად ვხედავთ საფლიას გაბრწყინებულ სახეს, მის ალერსიან ღიმილს.

ეს განცდა აღბეჭდილია სურათის პირველსავე კადრებში. საფლია ტრაქტორზეს და რაღაც დამთრობელ სურნელებასავით გრძნობს მოხნული მიწის ოხშივარს. იგი თავს დასტრიალებს მიჩენილ ნაკვეთს, ამთავრებს კიდეც გადახვნას, მაგრამ რჩება ერთი პატარა ადგილი, რომელიც საკოლმეურნეო ყანებში კუნძულივით გამორჩეულა. უფრო სწორად იგი ზღვაში გარიყულ ნავსა ჰგავს. ეს ღრმაზრიანი დეტალია, რომელშიც სიმბოლურად არის გააზრებული, რომ ეს მოუხნავი ადგილი საკოლმეურნეო მინდვრებისაგან მართლაც განმარტოებულია, როგორც ადამიანის ჯანსაღ სულში შემორჩენილი კერძო საკუთრების ინსტინქტი. აი ამ ნაკვეთზე იპოვნა საფლიამ დიდძალი ოქრო, რომელმაც ასე შეძრა მთელი მისი არსება და უცნაური ძალით ამოაგდო იგი პატიოსანი ადამიანური ცხოვრების ლოგიკიდან.

რეჟისორულად რ. ჩხეიძის მიერ აქ ყოველი კადრი დიდი მხატვრული ძალით არის შესრულებული. განმარტოებული, მოუხნავი მიწის ნაკვეთის გარდა სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ სხვა ეპიზოდებსაც. რეჟისორისა და ოპერატორის (გ. ჭელიძე) მაღალ პროფესიულ ნამუშევარზე მეტყველებს არა მარტო რომელიმე ცალკეული კადრი ან დეტალი, არამედ მთელი სურათი, და მაინც უნდა გამოვყოთ ზოგიერთი ადგილი.

ფართოპლანიან კადრში გამქვირვალედ მოჩანს ზღვა და ტალღებზე (როგორც ცხოვრების ტალღებზე) მოქანავე ნავი. ეს ნავი საფლიას, მშფოთვარე საფლის თავშესაფარია. იგი მიწას განშორდა და ახლა ისევ ზღვაში გარიყული, როგორც ცხოვრებას მოწყვეტილი ადამიანი. ნავამდე ვერც კი აღწევს სოფლის (წუთისოფლის) ხმაური და შრომის ყიჟინა. თითქოს ყველაფერი გარინდულა და უცნაურად შეფეკრიანებულა. მხოლოდ ფუნდუს (ზ. ბოცვაძე) ხმა არის, რომ არღვევს ამ სიმყუდროეს. იგი ეძახის, თავისთან უხმობს მეუღლეს. ეს სიცოცხლის, მიწასთან დაბრუნებისაკენ მოწოდების ხმაა!

რეჟისორულად ასევე ღრმად არის მოფიქრებული ის ადგილიც, საფლია ტირიფის ხიდან რომ ჩამოხტება და ტრაქტორისაკენ გაიქცევა, მერე ანაზდეულად შეჩერდება, ორი საპირისპირო ძალა სხვადასხვა მხარეს ეზიდება — მიწა შრომისაკენ და ოქრო თავისკენ, როგორც კი მიწას მიუახლოვდება, იგი სულიერად მშვდდება, მოშორდება, და საფლიას ხასიათის ამგვარ გადაწყვეტაში უნდა ვეძიოთ სურათის რამდენადმე დაბალი ემოციური დონე. ის ფაქტი, რომ თეორიული, პრობლემური თვალსაზრისით, ასე საინტერესოა სურათი. ასე მრავალი საკეთე ახლავს და მაინც არ გვაღელვებს, იმაზე მეტყველებს, რომ სადღაც ღრმად არის დარღვეული მხატვრული სახის შექმნის პრინციპი, სწორად არ არის მოძებნილი მთავარი გმირის სულიერი დრამის გამოხატვის საშუალებანი. იგი რამდენადმე მოწყვეტილია ცხოვრებისეულ სიმართლეს...

სადაოდ მიგვაჩნია სასტუმროს სცენაც. ი. ხვიჩიას აქვს ბუნებრივი კომიზმის შესანიშნავი გრძნობა და აქაც კარგად ავლენს, მაგრამ ეს სცენა ეოდეილს უფრო შეჰფერის, ვიდრე ამ სურათს. ამ სცენაში არ არის ის კომიზმი, რომელიც-ებსა და დრამებში რომ იყენებენ მაყურებლის შესასვენებლად.

მოთხრობის ტრაგიკული ფინალი სურათში ოპტიმიზმით არის შეცვლილი. სიკვდილს გადაურჩა ფუნდუ და გადარჩა საფლიაც. მდინარემ ჩამორეცხა ჭეჭყი, რომელმაც ასე ააფორიაქა და წონასწორობიდან გამოიყვანა საფლია. მან გასცურა მდინარე და ციცაბო კალთებთან შეჩერდა. იქ მონახა ფესვმაგარი ხე და მთელი ძალით ჩაეჭიდა, რათა იმ სიმაღლეზე ავიდეს, სადაც ფუნდუ და სხვა კოლმეურნენი არიან.

მთავრდება ფილმი, და მიგდიგართ იმის რწმენით, რომ საფლია და ფუნდუ ახალ ცხოვრებას დაიწყებენ. ისიც ღრმად გვჯერა, რომ მწერალმა და ფილმის მთელმა დამდგმელმა ჯგუფმა განსაკუთრებული სიყვარულით იმუშავეს, ოღონდ ეს არის რომ საფლიას ბედი ისევ ვერ განაცდევინეს ჩვენს მაყურებელს, როგორც ეს ამ მაღალი პროფესიული კულტურის სურათს ეკადრებოდა.

ამის უთქმელობა კი არ იქნებოდა გულწრფელობა.

ვ. კიკნაძე.

ალგეთი

ალგეთი! ქვემო ქართლის ეს ძველი ლისტეული სოფელი ბევრის მომსწრე და მნახველია. ახსოვს ბევრი ჭირიც და ლხინიც, ბევრი სახარულიც. მაგრამ სულ სხვა იყო 1960 წლის დეკემბერი. სოფელში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. ალგეთელები ზეიმობდნენ კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის საპატიო წოდების მინიჭებას. დაუვიწყარია ის დღე მათთვის. ალგეთელებმა მტკიცე პირობა დადეს განუხრელად განახორციელონ დიდი ლენინის ანდერძი, — იშრომონ და იცხოვრონ კომუნისტურად.

ამ დღიდან კიდევ უფრო გააჩაღეს ალგეთელებმა თავდადებული შრომა საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვისათვის. მგზნებარე კომუნისტური სულისკვეთებით ინთო ყოველი ალგეთელის გული. მტკიცედ დამკვიდრდა მათ ცხოვრებაში კომუნისტური შრომის პრინციპი — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანმა ალექსი ბეჭაურმა გვითხრა: — ალგეთელები სიტყვის ხალხია, იტყვიან, და ასრულებენ კიდეც. შარშან სამი წლის გეგმა შეასრულეს. 47 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 138 ტონა ხორცი მიჰყიდეს, რძე კი 182 ტონის ნაცვლად — 600 ტონა. გირჩევთ ნახოთ, გაეცნოთ ალგეთელ კოლმეურნეთა სამაგალითო შრომას.

ძმური ოჯახი

ერთი შეხედვით ალგეთში არაფერი არ გაკვირვებთ. ბგიდაგზა ხედავთ მხოლოდ აგურისა და აქა-იქ ქვის ერთსართულიან შენობებს ლამაზი კარ-მიდამოებით, მაგრამ არ შეიძლება თვალში არ გეცეთ წითელ ლენტებზე წარწერილი მოწოდებები: „აიღე ვალდებულება — შეასრულე კიდეც“. „რა გააკეთე იმისათვის, რომ შვიდწლედი ოთხწლეულში შესრულდეს?“ ტაისა ფედოსეევამ იკისრა თვითეულ ძროხაზე 3 ათას 50 ლიტრი რძე მოწველოს, შენ? თავალის ერთი გადაკვლებითაც ივრძნობა კომუნისტური შრომის ძალუმი ძგერა, მთელი სოფლის ერთსულოვანი დარაზმულობა.

ანდრია გრეჩკინი, საკოლმეურნეო შრომის გამოჩენილი ორგანიზატორი, 18 წელიწადია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ომგადახდილი ვაჟკაცი 50 წლისა იქნება, მაგრამ ჭაბუკური ენერგიით და გატაცებით შრომობს.

ომს მძიმე დაღი დაუსვამს მისთვის — ცალი ფეხი სამამულო ომის მრისხანე ფეხებში ხარკოვის მიდამოებში დაკარგა. მხიარული და ენაწყლიანი კაცია.

— პირველად ხარ ჩვენთან? — გვეუბნება იგი, — მაშ ცოტა რამ უნდა გიამბოთ სოფლის ისტორიიდან. ჩვენს სოფელს „ძაურ ოჯახს“ ეძახიან. ძაოთლაცდა, ვის არ შეხვდებით ჩვენს სოფელში — რუსს, ქართველს, უკრაინელს, სომეხს, ბერძენს, ჩვენი დიდი სამშობლოს ბევრი ეროვნების წარმომადგენელს. ცხოვრობენ და შრომობენ ძმურად და მეგობრულად.

— რა დარგებს მისდევთ? — ვეკითხებით ანდრია გრეჩკინს.

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. მივდევთ. მემინდვრეობას. მოგვყავს ბოსტეული, გვაქვს ცოტაოდენი ბაღები. მთავარი დარგი კი საზოგადოებრივი მეცხოველეობაა. შარშან მარტო მეცხოველეობამ მილიონ 800 ათასი მანეთი მოგვცა. ხელსაყრელი პირობები გვაქვს პირუტყვის მოსამზადებლად. ათას სულამდე მარტო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გვყავს. კარგი პირობებია მეღორეობა-მეფრინველეობის განსავითარებლად.

ვათვალიერებთ სოფელს. აქ არის კლუბი, ბიბლიოთეკა მდიდარი ლიტერატურით, სამკურნალო დაწესებულებები. დაბალ ერთსართულიან შენობასთან შევჩერდით.

— აქ ჩვენი რძის ქარხანაა, — გვითხრა ანდრია გრეჩკინმა.

შევდივართ ვრცელ დარბაზში. კოლმეურნე ქალებს თეთრი ხალათები აცვიათ. სისუფთავე, განსაკუთრებული სისუფთავე, ქარხანა კი არა სანატორიუმი გეგონებათ.

— აი ხომ ხედავთ — დასძინა გრეჩკინმა, — რა ოსტატურად გამოპყავთ სულგუნი დასავლეთ საქართველოდან გადმოვიღეთ, ახლა კი მათ როდი ჩამოვრჩებირ. ქარხანაში იგრძნობა რიტმული მუშაობა. აქ ყოველდღიურად 200 კილოგრამ სულგუნს ამზადებენ.

სოფლიდან საზაფხულო იაღლაებზე მივემგზავრებით. ალგეთზე, მთის ამ პატარა სოფელზე, წარუშლელი შთაბეჭდილება გვრჩება. განსაკუთრებით ლამაზია იგი გაზაფხულის ამ დღეებში, როცა ბუნება მწვანე სამოსშია გახვეული. განახლებულ სოფელს შნოსა და იერს მატებს მთის ანკარა მდინარე ალგეთურა.

ტაისა ფედოსეევა და მისი მეგობრები

ვოლნარის მთიდან ცივი და ანკარა წყაროო მოჩუხჩუხებს. აქ გაშლილა საზაფხულო კარავი დობილებს — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ტაისა ფედოსეევას, ლენა და თინა აფციაურებს, ელენე ქავთარაძეს, ნინო ფედოსეევას. აქ, ამ ხეიდი ბუნების გულში ენერგიის დაუზოგავად შრომობენ და ქმნიან ბარაქასა და სიუხვეს შრომისმოყვარე ქალიშვილები. წუთით არ კარგავენ დროს უქმად, მსჯელობენ, კამათობენ, კითხულობენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. იღრძალებენ ცოდნას, ეუფლებიან მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას.

ტაისა ფედოსეევა ქერათმიანი, საშუალო ტანის მკვირცხლი ქალიშვილია. გულით უყვართ დობილებს იგი. ყველას მასწავლებელი და ქომაგია. ექვს თვეს საზაფხულო იალაღებზე ატარებენ დობილები, ერთად ცხოვრობენ და შრომობენ.

12 მაისი დაუვიწყარი, მარად სახსოვარი დღეა ტაისასათვის. იგი მონაწილეა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის საპატივცემულო სპორტის სასახლეში. მან მოისმინა ძვირფასი სტუმრის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვა.

— როცა ნიკიტა სერგის-ძემ მოწინავე ადამიანთა შორის ჩემი სახელიც ახსენა, — გვითხრა ტაისა ფედოსეევამ, — სიხარულმა ფრთები შემასხა. ენით ვერ გამომითქვამს ამ წუთებში მიღებული დიდი განცდები. ერთ ხანს ფიქრებმა წამიღო. წარმოვიდგინე. კოლაე ფირმაში ვარ და ჩემს სიხარულს ჩემი დობილებიც იზიარებენ, საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მივდიოდი კი არა, მივფრინავდი შინისაკენ. დობილები აღფრთოვანებული დამხვდნენ. უსაზღვრო იყო მათი სიხარული. — რით ვუპასუხოთ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ასეთ მაღალ შეფასებას? — ყველამ თითქმის ერთად წარმოთქვა ეს სიტყვები. გადავწყვიტეთ თვითეულ ძროხაზე 2 ათას 300 კილოგრამის ნაცვლად 3 ათას 50 ლიტრი რძე მივიღოთ.

ამ დღიდან ახალი ძალითა და ენერგიით გააჩაღეს შრომა ქალიშვილებმა. აქ აშკარად იგრძნობა რიტმული მუშაობა. ყველაფერი კეთდება ზუსტად, ჩქარა, უხმაუროდ, დაუბრკოლებლად.

დილით ადრე ძროხებს წველიან, შემდეგ იალაღებზე მიერეკებიან, საღამოს კვლავ წველიან. მუშაობა აწყობილია საათის მექანიზმივით. მათი ლექსიკონიდან ამოვარდნილია სიტყვა „მე“, აქ მხოლოდ გაიგონებთ: „ჩვენ მივაღწიეთ“... „ჩვენი ძროხები“... „ჩვენი ვალდებულება“.

ეს შემთხვევა შარშან მოხდა. სკოლის მერხიდან პირდაპირ ფერმაში მოვიდა სამუშაოდ თინა აფციაური. გამოუცდელმა ქალიშვილმა მოიწყინა. ვერ ასრულებდა წველადობის გეგმას. პირუტყვს მოაკლდა მზრუნველი ხელი. დატრიალდნენ დობილები, მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა მწველავს — ასწავლიდნენ, ეხმა ირებოდნენ, ახალისებდნენ შრომაში. თინაც მალე დაოსტატდა და ახლა მეგობრებს როდი ჩამორჩება. არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს ბრიგადაში, — გადაწყვიტეს ალგეთელმა ქალიშვილებმა. როგორც ყოველთვის, ახლაც გაამართლეს თავიანთი სიტყვა. ბრიგადის ყოველი წევრი გეგმას კი არა, ვალდებულებასაც გადამეტებით ასრულებს. დღეისათვის ბრიგადის თვითეულ წევრს მოწველილი აქვს 300 ლიტრამდე რძე. სასიხარულო მაჩვენებლებით შეხვდებიან ტაისა ფედოსეევა და მისი მეგობრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.

მწველავის იუბილე

ამას წინათ ალგეთის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობამ იუბილე გადაუხადა ღვაწლმოსილ მწველავს ალექსანდრა ზაბნინას. ამ შრომისმოყვარე ქალმა მილიონი ლიტრი რძე მოწველა — ყველაზე მეტი რაიონში. ამდენი რძე, ერთი ცნობისმოყვარე კოლმეურნის გამოანგარიშებით, სულ ცოტა 350 ცისტერნს გაავსებდა.

— ჩემი გამარჯვება, — გვითხრა ალექსანდრა ზაბნინამ, — მთელი კოლმეურნეობის, ჩემი მეგობრებისა და თანამოსაქმეების გამარჯვებაა. თქვენ გაინტერესებთ, როგორ მიეაღწიე ამ წარმატებას? მხოლოდ საქმისათვის თავდადებით. დაუღალავად ვშრომობდი, ვსწავლობდი მოწინავე გამოცდილებას და შეეინიერების მიღწევებს. მთავარია მონდომება იყოს — დაუძლეველი კი არა არის რა. ერთ რამეში მტკიცედ დავრწმუნდით — თუ პირუტყვს მაძღრისად კვებავ და მოვლა-პატრონობას არ აკლებ, ძრომა არასოდეს არ დაგეკარგება.

მილიონი ლიტრი რძე! ეს ხომ ასტრონომიული ციფრია. როცა ამ საშუალო ტანის შუახნის გამრჯე ქალს შესცქერით, გაოცებთ და გახარებთ ადამიანის შრომის ასეთი უდიდესი ზეიმი. ახლაც ახალგაზრდული გატაცებით მუშაობს, უფრო სახელოვნად და სამაგალითოდ. სოფელში ხშირად გაიგონებთ ალექსანდრა ზაბნინაზე — ბარაქალა შენს ქალობასო. მართლაც, მის მაგალითს ბევრი ბაძავს და სახელოვან წარმატებებსაც აღწევს.

მგზნებარე შემოქმედებითი შრომა ჩქეფს ალგეთის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობაში. გეგმის გადამეტებით დათესილია სიმინდი და ბოსტნეული, დიდი როდენობით ამრავლებენ ჯიშიან პირუტყვს. ერთი წუთითაც არ წყდება რიტმული მუშაობა. კომუნისტური სულისკვეთებით აღფრთოვანებული ალგეთელები დღეს უკეთ მუშაობენ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ იმუშავებენ, ვიდრე დღეს.

კ. მანტურიშვილი.

ამშ კომპარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები აფხაზეთში

სოხუმი. (საკ. კორ.). აშშ კომპარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ აშშ კომპარტიის აღმასკომისა და ეროვნული კომიტეტის წევრები ამხანაგები არნოლდ ჯონსონი და დოროტი ჰილი, მოგზაურობს რა საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფება საბჭოთა საქართველოში.

თბილისში, რუსთავში, გორში, წყალტუბოში, ქუთაისსა და ზუგდიდში ყოფნის შემდეგ ამერიკელი სტუმრები 28 მაისს ჩამოვიდნენ აფხაზეთში.

საქართველოში მოგზაურობისას დელეგაციას თან ახლავან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე თ. ბ. ბუაჩიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები ნ შ ვასაძე და ზ. ი. პორაკიშვილი.

აფხაზეთში ჩამოსვლისას აშშ კომპარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. დ. ვ. გოგოხია, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ე. შარტავა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრები: ამხანაგები თ. მ. ქეცბა, გ. დ. ჭაჭია, დ. ა. ხვარწკია, ხ. ი. ტუფურია, ა. ა. ძაძუა.

აფხაზეთში ყოფნის პირველ დღეს სტუმრები გაეცნენ აფხაზეთის ასსრ დედაქალაქს სოხუმს.

29 მაისს აშშ კომპარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები იყვნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, დასასვენებელ სახლში — „სოხუმი“, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა „ეშერასა“ და დრანდის ჩაის ფაბრიკაში.

ამერიკელ სტუმრებს ყველგან ხვდებოდნენ ერთსულოვანი აღფრთოვანებით. მათ საინტერესო საუბრები ჰქონდათ მუშებთან, სოფლის მეურნეობის მშრომელებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

შემდეგ აშშ კომპარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა დელეგაცია მიიღეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში.

მიღებამ ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში.

აშშ კომპარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები სოხუმიდან სოჭში გაემგზავრნენ.

ტიციან ტაბიძის ლექსი გერმანულ ენაზე

ამას წინათ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურმა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის ლექსი „და ბელადობას. ტელმანი. გავალებს!“.

ტ. ტაბიძის ლექსი ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნა გერმანელმა პოეტმა და მთარგმნელმა ფრანც ლეშნიტცერმა.

ტიციან ტაბიძე პირველი საბჭოთა პოეტია, რომლის ლექსიც წელს გამოქვეყნდა „ნოიეს დოიჩლანდის“ ფურცლებზე.

ვლ. ალფენიძე.
მოსკოვი.

გამოფენა ერევანში

ამა წლის 28 მაისს ქ. ერევანში სომხეთის მხატვართა კავშირის სახლის გამოფენის დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც სომხეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროებმა მოაწყეს.

დარბაზში შეიკრიბა დედაქალაქის მშრომელთა და ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი, ჩამოსული სტუმრები. ელენე ახვლედიანს გულთბილად მიესალმა სომხეთის სსრ სახალხო მხატვარი მპერ აბელიანი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრის ხუთასამდე ნამუშევარი: პეიზაჟები, ნატიუმორტები, პორტრეტები, თეატრალური, საოპერო სპექტაკლების, კოსტიუმების ესკიზები და სხვ.

პირველ დღეს ასობით ერევნელმა ინახულა საინტერესო გამოფენა.

ხ. ბადალიანი.

კინო

სულის ბანაკი

„განძი“ მკვეთრი, თავისებური რეჟისორული ხელ

ცეცხლს აჩაღებენ მეამბოხენი ლაოსში

ლაოსის ამბები

ჯაკარტა, 29 მაისი. (საკდესი). დღეს ნამოხში გაიმართა ლაოსის სამეფო მთავრობის, პარტია ნეო ლაო ხაკ სატისა და სავანაკეთის ჯგუფის პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლების მორიგი სხდომა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მონაწილენი ერთხმად შეთანხმდნენ საფუძვლად მიიღონ 5 პუნქტიანი წინადადებანი, რომლებიც 17 მაისს წამოაყენა ნეო ლაო ხაკ სატის პარტიამ.

წინადადებათა ეს პუნქტები შემდეგია: 1) ლაოსის დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნის პრინციპი და საფუძველი; 2) დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნის მეთოდები და პროცედურა; 3) დროებითი კოალიციური მთავრობის შემადგენლობის საკითხი; 4) დროებითი კოალიციური მთავრობის ფუნქციები; 5) დროებითი კოალიციური მთავრობის პროგრამა.

ნამონის თათბირის მონაწილეებმა მიიღეს წინადადება, რომელიც დღეს წამოაყენა ნეო ლაო ხაკ სატის პარტიამ, იმის შესახებ, რომ უწინარეს ყოველისა უნდა განიხილონ ამ წინადადებათა 4 და 5 პუნქტები.

ჯაკარტა, 30 მაისი. (საკდესი). 28 მაისს რადიომ („ლაოსის ხმამ" გამოცხადა, რომ ფუმი ნოსავან-ბუნ უმის ხროვა კვლავ არღვევდა ბრძანებას ლაოსი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თავის გადაცემაში რადიომ „ლაოსის ხმამ" მოიყვანა უამრავი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ჭეშმარიტი დამრღვევნი არიან სავანაკეთის ჯგუფის ჯარები.

ამიტომ, ბუნებრივია, ხაზგასმით აღნიშნავს რადიო, ამ პროვოკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც არ წყდება, პატრიოტული შეიარაღებული ძალები და ლაოსელი ხალხი იძულებული იყვნენ მიეღოთ საჭირო ღონისძიებანი წესრიგის შესანარჩუნებლად და განთავისუფლებული რაიონების უშიშროების უზრუნველსაყოფად. მეამბოხეთა აღიარებით, აღნიშნავს რადიო, რომლებიც ხელთ იგდეს კანონიერი მთავრობისა და ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის ჯარებმა განთავისუფლებულ რაიონებში, სავანაკეტის ჯგუფმა თვისი ჯარისკაცები გადასხა სიენგ-კუანგისა და სამ-ნეუს პროვინციათა მთელ რიგ რაიონებში, ხოლო შემდეგ ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას მოსთხოვა ცნოს ამ რაიონების ოკუპაცია მის მიერ.

ანგოლაში სახალხო აჯანყება სისხლში რომ ჩაახრჩოს, ლისაბონის დიქტატორის სალაზარის მთავრობა ამ კოლონიაში გზავნის ნატოს საწყობებიდან მიღებული იარაღით აღჭურვილი ჯარების სულ ახალ კონტინგენტებს. **სურათზე:** პორტუგალიის ჯარების მორიგი ეშელონი ანგოლაში.

გამოფენაზე „სოკოლნიკში"

— **გეთილი** იყოს თქვენი მობრძანება! ბრიტანეთის მრეწველობა მოგესალმებათ! — ეს ფრაზა ზედაზედ, მცირე ხნის ინტერვალის შემდეგ გაისმის ავტომატიდან მთელი დღის განმავლობაში ინგლისის საავჭრო-სამრეწველო გამოფენის შესასვლელთან, რომელიც მოსკოვის „სოკოლნიკის" კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა. პარკის მწვანე ტერიტორიაზე ყოველთვის დიდძალი ხალხია, ერთი კვირის განმავლობაში გამოფენა 250 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. აქ მოდიან ინჟინრები, კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, მუშები, მოსამსახურენი, სტუდენტები, საზღვარგარეთელი სტუმრები. დილაობით გამოფენაზე წარმოუს ინგლისელი კომერსანტებისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების მუშაკთა საქმიანი საუბრები, არავენენ ამა თუ იმ საქონლის შესყიდვის შესაძლებლობებს.

ჩვეულებისამებრ დათვალიერება გუშგათოვანი პავილიონიდან იწყება. ამ პავილიონის სტენდები ეძღვნება ავიაციას, პლასტიკურ მასებს, სინთეზურ ბოჭკოებს, მეტალურგიასა და სხვა დარგებს. დამთვალიერებლები ჩერდებიან ექსპონატებთან, იცნობიან მანქანების ტექნიკურ დეტალებს, თვალყურს ადევნებენ დანადგართა მუშაობას.

ბევრი ხალხია „მარშონ პროდაქტსის" ფირმის სტენდთან. აქ წარმოდგენილია მაკეტები ორი ქარხნისა, სადაც ცხიმეულის სპირტებს აწარმოებენ. ამ საწარმოებისათვის, რომლებიც ქალაქ ვოლგოდონსკსა და შუბკინში უნდა აეშენონ, ფირმა, გარდა პროექტისა, მოწყობილობასაც მოაწვდის.

როცა მოსკოველებს ეკითხებით, როგორია პირველი შთაბეჭდილებაო, ისინი უწინარეს ყოვლისა ადარებენ ინგლისის გამოფენასა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოფენას, რომელიც აქ 1959 წელს იყო მოწყობილი. ისინი ამტკიცებენ, ბრიტანეთის გამოფენა უფრო მოგვწონსო. ამერიკის გამოფენაზე თვალში გეცემოდათ განზრახული, უხეში პროპაგანდა ყბადაღებული „ამერიკული ცხოვრების წესისა", ინგლისური გამოფენა კი შექმნილია საქმიან საფუძველზე, ისე რომ არ არის წინასწარ მომზადებული და მყვირალა რეკლამა.

მოსკოვის სახარისხებელი სადგურის დეპოს ოსტატმა თევდორე ივანოვმა საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

—ჩემი აზრით, ბრიტანეთის გამოფენა ჭერიკის გამოფენასთან შედარებით უფრო კარგი, უფრო სოლიდური მრეწველობის ექსპონატების გაფორმებითა და მრავალფეროვნებით.

პირადად მე მანქანები მიზიდავენ, — განაგრძო მან, — მინდა უფრო გავიცნო ინგლისის მრეწველობა, კერძოდ, ის ექსპონატები, რომლებიც რკინიგზის ტრანსპორტს განეკუთვნება.

ასეთსავე აზრს სხვებიც გამოთქვამენ. ღია მოედანზე, სადაც უჩვენებენ ლეგირებული და მარგანეცის ფოლადის უზარმაზარ შედუღებულ ჩამოსხმულ ციცხეს, რომლის ტევადობა ექვსი კუბური იარდია, ჩვენ გამოველაპარაკეთ მოსკოველ ინჟინერს ა. მ. ლადიგინს. ექსკავატორის ეს ციცხვი კლდის სამუშაობისათვის, შენიშვნა მან, ყურადღებას იპყრობს დაახლოებით 150 მილიმეტრი სისქის ლითონის დეტალების შედუღების ტექნოლოგიით. რა თქმა უნდა, ჩვენშიც არის ასეთი კონსტრუქციები, მაგრამ, ყოველმხრივ ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ტექნოლოგია სხვაა. საერთოდ ინგლისის გამოფენა უფრო სერიოზულად არის მოწყობილი, ვიდრე ამერიკისა. ფართოდაა წარმოდგენილი ტექნიკა, რომელიც ჩვენში ბევრს აინტერესებს.

და, მართლაც, ეს ინტერესი თვალნათლივ ჩანს ყველგან. მინის პავილიონში დიდძალი ხალხია „ინგლიშ ელექტრიკის" კომპანიის სტენდებთან, სადაც უჩვენებენ ჰიდრავლიკურ და ორთქლის ტურბინებს, გენერატორებს, სხვადასხვა ავტომატიკას. ამ მსხვილი ინდუსტრიული კომპანიის წარმომადგენელმა ალან გემელმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— წინათ ვერც კი წარმოგვედგინა, თუ როგორ მიიღებდნენ ჩვენს გამოფენას მოსკოვში. ახლა კი გვაოცებს არა მარტო დამთვალიერებელთა დიდი ნაკადი, არამედ ის ინტერესიც, რასაც ისინი იჩენენ გამოფენისადმი. ჩვენ გვაოცებს, რომ მათ აქვთ ტექნიკური ცოდნა და ძლიერ სასიამოვნოა ესაუბრო ადამიანებს, რომლებიც ტექნიკურ საკითხებში ერკვევიან.

„ინგლიშ ელექტრიკს". აღნიშნა მისტერ გემელმა, დიდი ხანია დამყარებული აქვს საქმიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. კომპანია საბჭოეთს აწვდის შაქრის, ქიმიური და სხვა ქარხნების მოწყობილობას, ახლა კი მომდინარეობს მოლაპარაკება ახალი კონტრაქტების დადების შესახებ.

ჩვენ დიდად გაგვახარა იმან, თქვა შემდეგ ალან გემელმა, რომ გამოფენის გახსნის დღეს გვეწვივნენ საბჭოთა ხელმძღვანელები ბატონ ხრუშჩოვის მეთაურობით. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ჩვენს სტენდებთან სულ ცოტა ათი წუთი დაჰყო.

გამოფენა შესაძლებლობას იძლევა გავცვალოთ ორივე ქვეყნის საავჭრო ურთიერთობა, განვავითაროთ კონტაქტები საბჭოთა ორგანიზაციებთან, ქარხნებთან, ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები ელექტრული მანქანების წარმოების შესახებ.

თავისი შთაბეჭდილებანი მოსკოველებზე ხალისით გაგვიზიარა რუსეთ-ბრიტანეთის საავჭრო პალატის მდივანმა ჰენრი ჰეიუორდმა. რუსები მეტად სიმპათიური, სასიამოვნო ადამიანები არიან, თქვა მან, მოხარული ვართ გავიცნოთ ისინი გამოფენაზე.

მე მგონია, განაცხადა ჰენრი ჰეიუორდმა, იქნები არ უნდა ვიქონიოთ, რომ ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მხარეებს სურთ გააფართოონ ურთიერთვაჭრობა, ამ მხრივ სავაჭრო-სამრეწველო გამოფენები ფრიად სასარგებლოა.

ა. ლისინი,
საკდესის კორ.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ჰიუმი — ფრანკოს სტუმარი

ლონდონი, 29 მაისი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი მადრიდს ჩავიდა სამი დღის ოფიციალური ვიზიტით.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჰიუმი მოლაპარაკებას გამართავს ფრანკოსთან და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კასტიელიასთან.

სააგენტოს ცნობით, მოსალოდნელი არ არის, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში აღძრავენ ისეთ „დიდწინშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა გიბრალტარისა და ნატოში ესპანეთის შესვლის საკითხი". ჰიუმის ვიზიტის მთავარი მიზანი, წერს რეიტერი ის არის, რომ „შემდგომ გაუმჯობესდეს ინგლის-ესპანეთის ურთიერთობა, თუმცა როგორც მოელიან, ჰიუმი მტკიცედ მოითხოვს ესპანეთმა გაადიდოს ინგლისური საქონლის იმპორტი".

დაქირავებულთა ბარბაროსობა

ჰავანა, 29 მაისი. (საკდესი). გუშინ კონტრრევოლუციურმა ტერორისტულმა ელემენტებმა ნაპალმის საშუალებით საბავშვო სენანის დროს ცეცხლი წაუკიდეს ქალაქ პინარ-დელ რიოს ერთ-ერთ კინოთეატრს.

ხანძრის შედეგად 26 ბავშვს, და 14 მოზრდილს დამწვრობა აქვს და დაშავებულია.

დიქტატორი მანევრებს მიმართავს

ჰანოი, 29 მაისი. (საკდესი). დღეს სამხრეთ ვიეტნამის დიქტატორმა ნგო დინ დიემმა გამოაცხადა, რომ დაითხოვა მთავრობა და ადგენს ახალ კაბინეტს. მთავრობის შეცვლით იგი ცდილობს ვითომდა კარდინალური ცვლილებები მოახდინოს ადმინისტრაციულ სისტემაში და დაკმაყოფილოს ლეგალური ოპოზიციის მოთხოვნები, რომელსაც მხარს უჭერს დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო.

მოკლე ცნობები საზღვარგარეთიდან

☐ **პრაღიდან** ბუდაპეშტში მეგობრული ვიზიტით ჩავიდა ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო.

☐ **როგორც** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იუწყება, რამდენიმე კილომეტრზე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ქალაქ სელეტარის რაიონში დაიმსხვრა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელშიც იყო 13 კაცი.

☐ **ინდოეთის** ქალაქ ალახაბადის (უტარ პრადეშის შტატი) რაიონში დაიწყო ხოლერის ეპიდემია. უკანასკნელ კვირაში ხოლერით დაიხოცა 50 კაცი.

☐ **დასავლეთ** გერმანიის სამხრეთ ნაწილის ყველა რაიონში მნიშვნელოვნად აცივდა. ბევრ ადგილას ტემპერატურამ ნულს ქვემოთ დაიწია, ხოლო მთებში თოვლი მოვიდა.

☐ **ჩომბე** გემით ჩაიყვანეს ლეოპოლდვილში კოკიავილიდან, სადაც ოთხ კვირას იმყოფებოდა მობუტუს ჯარისკაცების პატიმრობაში. (საკდესი).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

21 მაისი

თეატრები: — **რუსთაველის** სახელობის — [illegible] — **ოპერა** — **გრიბოედოვის** სახელობის — სახიფათო ასაკი, **სანკულტურის** — კუჭრდღელი (აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნივთს შეკვრდენი (46-ე აბონ., 11 ს., 42-ე აბონ., 6 ს.), **ფილარმონიის სახაფხულო** — უკრაინის საესტრადო ორკესტრი.

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „სახალისო ანბანი" (გადაცემა მეოთხე), 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „ახალგაზრდობის თვალით", 19.00 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა ციკლდან — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობების შესახებ. „ერთი კოლმეურნეობის კომუნისტები", 19.45 — კინოეკურანალი, 19.55 — გადაცემა — „ახალი წიგნები", 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — მხატვრული ფილმი — „საკუთარი თავი ძმრებზე".

კინოები: **რუსთაველის** სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი**, **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი**, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი** (საზამთრო), **კიროვის** სახელობის **პარკი**, **კომუნარების ბაღი**, **გაზაფხული** — მოწმენდილი ცა, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი**, **თბილისი**, **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძის** სახელობის **კლუბი** (საზაფხულო) — უმაღლესი პრინციპი, **ისანი** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **მილიციის** **კლუბი** — ბალტიკის ცა (I სერია).

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუდმივ გამოფენაზე შესვლა შეიძლება 14-დან 22 საათამდე.

გამოსასვლელი დღეა სამშაბათი. შესვლა თავისუფალია.

მისამართი: აკ. წერეთლის პროსპექტი, 118; ტელ. 3-34-81; ტრამვაის მარშრუტები — 3, 10, 12.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვების სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ნივთიერებათა ცვლის განყოფილება — უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 (მედ. მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).
2. ვიტამინების განყოფილება — უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 (მედ. მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).
3. სან. ჰიგიენური განყოფილება — უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 (მედ. მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).
4. სამკურნალო კვების განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 (მედ. მეცნ. დოქტორი ან კანდიდატი).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება სათანადო საბუთების თანდართვით შემოტანილ უნდა იქნას ლაბორატორიის დირექტორის სახელზე კამოს ქ. № 51, ტელეფონი № 3-38-42.

ცეცხლს აჩაღებენ მეამბოხენი ლაოსში

თავისუფლებას მანოლის გლეზოსს!

ბუდაპეშტი, 29 მაისი. (საკდესი). თავისუფლება მანოლის გლეზოსს, — ასეთი მოთხოვნით მიმართა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს იმასთან დაკავშირებით, რომ 31 მაისს სრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც მანოლის გლეზოსმა გმირობა ჩადინა. ამ დღეს საბერძნეთის ეროვნულმა გმირმა ფაშისტური ალამი ჩამოგლიჯა აკროპოლს. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნო 101 მილიონი წევრის სახელით მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ გლეზოსი და სხვა ბერძენი დემოკრატები, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი და მშვიდობისათვის მებრძოლნი.

მეორე დეპეშაში, რომელიც გმირის სახელზე გაიგზავნა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნო მიესალმება გლეზოსს და პირობას აძლევს, რომ მსოფლიოს ახალგაზრდობა კვლავაც განაგრძობს ბრძოლას მისი განთავისუფლებისათვის და სხვა ბერძენ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის, საბერძნეთში დემოკრატიის ტრიუმფისათვის.

გატლერმა აღიარა

ლონდონი, 30 მაისი. (საკდესი). შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატლერმა, რომელიც ლონდონს დაბრუნდა ესპანეთში არაოფიციალური მოგზაურობის შემდეგ, დაადასტურა, განცხადება, რომელიც გააკეთა მან ესპანეთში ყოფნის დროს და რომელმაც ინგლისის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. მადრიდში ყოფნის დროს, მან, როგორც ცნობილია, განაცხადა: ჭეშმარიტად სირცხვილია, რომ ესპანეთი გამორიცხულია საერთაშორისო ცხოვრებიდან ესოდენ მრავალი წლის განმავლობაში" და რომ იგი „მთლიანად უნდა შევიდეს დასავლეთის სამყაროში".

უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვებზე, ბატლერმა თქვა: „მე მინდა გამოვთქვა ის, რაც ყოველთვის იყო ინგლისის პოლიტიკა: ჩვენ რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ესპანეთი დასავლეთს".

გარდაიცვალა ფარაჯალა ჰელუ

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, ლიბანის კომპარტიის სამდივნოს ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „ხარიის საპყრობილეში წამების შედეგად" გარდაიცვალა ლიბანის კომპარტიის გენერალური მდივანი ფარაჯალა ჰელუ.

გამოფენაზე „სოკოლნიკში"

ტელეგრაფი გვატყობინებს

ჰიუმი — ფრანკოს სტუმარი

ლონდონი, 29 მაისი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი მადრიდს ჩავიდა სამი დღის ოფიციალური ვიზიტით.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჰიუმი მოლაპარაკებას გამართავს ფრანკოსთან და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კასტიელიასთან.

სააგენტოს ცნობით, მოსალოდნელი არ არის, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში აღძრავენ ისეთ „დიდწინშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა გიბრალტარისა და ნატოში ესპანეთის შესვლის საკითხი". ჰიუმის ვიზიტის მთავარი მიზანი, წერს რეიტერი ის არის, რომ „შემდგომ გაუმჯობესდეს ინგლის-ესპანეთის ურთიერთობა, თუმცა როგორც მოელიან, ჰიუმი მტკიცედ მოითხოვს ესპანეთმა გაადიდოს ინგლისური საქონლის იმპორტი".

დაქირავებულთა ბარბაროსობა

ჰავანა, 29 მაისი. (საკდესი). გუშინ კონტრრევოლუციურმა ტერორისტულმა ელემენტებმა ნაპალმის საშუალებით საბავშვო სენანის დროს ცეცხლი წაუკიდეს ქალაქ პინარ-დელ რიოს ერთ-ერთ კინოთეატრს.

ხანძრის შედეგად 26 ბავშვს, და 14 მოზრდილს დამწვრობა აქვს და დაშავებულია.

დიქტატორი მანევრებს მიმართავს

ჰანოი, 29 მაისი. (საკდესი). დღეს სამხრეთ ვიეტნამის დიქტატორმა ნგო დინ დიემმა გამოაცხადა, რომ დაითხოვა მთავრობა და ადგენს ახალ კაბინეტს. მთავრობის შეცვლით იგი ცდილობს ვითომდა კარდინალური ცვლილებები მოახდინოს ადმინისტრაციულ სისტემაში და დაკმაყოფილოს ლეგალური ოპოზიციის მოთხოვნები, რომელსაც მხარს უჭერს დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო.

მოკლე ცნობები საზღვარგარეთიდან

☐ **პრაღიდან** ბუდაპეშტში მეგობრული ვიზიტით ჩავიდა ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო.

☐ **როგორც** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იუწყება, რამდენიმე კილომეტრზე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ქალაქ სელეტარის რაიონში დაიმსხვრა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელშიც იყო 13 კაცი.

☐ **ინდოეთის** ქალაქ ალახაბადის (უტარ პრადეშის შტატი) რაიონში დაიწყო ხოლერის ეპიდემია. უკანასკნელ კვირაში ხოლერით დაიხოცა 50 კაცი.

☐ **დასავლეთ** გერმანიის სამხრეთ ნაწილის ყველა რაიონში მნიშვნელოვნად აცივდა. ბევრ ადგილას ტემპერატურამ ნულს ქვემოთ დაიწია, ხოლო მთებში თოვლი მოვიდა.

☐ **ჩომბე** გემით ჩაიყვანეს ლეოპოლდვილში კოკიავილიდან, სადაც ოთხ კვირას იმყოფებოდა მობუტუს ჯარისკაცების პატიმრობაში. (საკდესი).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

საირუს იტონის განცხადება

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კლივლენდიდან იუწყება, თვალსაჩინო ამერიკელმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა ბულგარეთიდან დაბრუნებისას გააკეთა განცხადება პრესისათვის პასუხად სენატის შინაუშიშროების საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარის დოდის (დემოკრატი კონეტიკუტის შტატიდან) მოხსენებისა, რომელმაც ბრალად დასდო იტონს „კომუნიზმის მხარდაჭერა".

„არაფერი არ შეიძლება იყოს ისე შორს ჭეშმარიტებისაგან, — თქვა იტონმა, — როგორც ამ ქვეკომისიის ბრალდება, რომ პაგუოშის კონფერენციები გამოყენებული იყო კომუნისტური პროპაგანდისათვის". „კონფერენციის წინაღმდეგ, — განაცხადა იტონმა, — გამოდიან სწორედ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენ უნდა მოვსპოთ კომუნიზმი ძალით. კონფერენციებზე ხაზგასმით აღინიშნა ატომური ომის საფრთხე და ის, რომ გადაწყვეტილებანი უნდა ვეძებოთ განიარაღებაში. თუ თქვენ აცხადებთ, რომ მშვიდობის აგიტაცია და შეიარაღებაზე უარის თქმა — კომუნიზმია, ამით ამტკიცებთ, რომ მხოლოდ კომუნისტური ქვეყნები იბრძვიან მშვიდობისათვის".

დოდის ქვეკომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ იტონმა როგორღაც განაცხადა, რომ შეერთებული შტატები პოლიციური სახელმწიფოა. იტონმა აღნიშნა, რომ უარს არ იტყვის ამ სიტყვებზე. „ხალხმა, — თქვა იტონმა, — ძირითადად არ იცის, რომ არის 75 ფედერალური სააგენტო, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ამერიკას, ინსპექციასა და კონტროლს უწევენ სამრეწველო, საბანკო და თითქმის მთელ დანარჩენ საქმიანობას. ამ საგენტოებში ალბათ მუშაობს 500 ათასამდე კაცი. ჩვენ აღშფოთებული ვიყავით ჰიტლერითა და მისი გესტაპოთი. მაგრამ ამ დაწესებულებაში ალბათ არც კი მუშაობდა 75 ათასზე მეტი კაცი. სამხედრო თავდასხმა კუბაზე ერთ-ერთი ჩვენი ასეთი პოლიციური სამმართველოს — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოქმედების შედეგია. ევროპის ქვეყნებში, რომლებიც მეგობრულად არიან განწყობილი ჩვენს მიმართ, ხალხი მეუბნებოდა, რომ მათ თვალყურს ადევნებს ეს სამმართველო".

საფრანგეთ-ალჟირის მოლაპარაკება

ევიან-ლე-ბენი, 30 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთისა და ალჟირის დელეგაციების მოლაპარაკება გუშინ შესვენების ჩათვლით სულ დაახლოებით 3 საათს გრძელდებოდა.

ორივე დელეგაციამ გადაწყვიტა განაგრძონ საერთო დისკუსია ყველა საკითხზე, რომლებიც ალჟირის თვითგამორკვევას შეეხება, მათ შორის საპარის საკითხზე. ეს აუწყა ჟურნალისტებს საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ტიბომ.

ტიბომ განმარტა, რომ მოლაპარაკება უწინდებურად მიმდინარეობს გარკვეული დღის წესრიგის შეუმუშავებლად, და აღნიშნა, რომ მოლაპარაკება აქტიურ სტადიაში შევიდა.

ტიბომ განაცხადა, რომ ყოველ სხდომაზე ეხებიან სულ ახალ საკითხებს, სხვა საკითხებს კი „უფრო ღრმად განიხილავენ".

გაიხსენა რა, რომ ორივე დელეგაცია პრინციპულად შეთანხმდა ექსპერტთა კომისიის შექმნის შესახებ, ტიბომ თქვა, რომ ეს პრინციპი ჯერ არ განხორციელებულა.

ორივე დელეგაციამ გადაწყვიტა ჯერჯერობით საიდუმლოდ დაცვან მოლაპარაკება. შემდეგი შეხვედრა გაიმართება 31 მაისს.

ახალი დანაშაული

ჰავანა, 30 მაისი. (საკდესი). კონტრრევოლუციონერი ტერორისტები თავს დაესხნენ კუბის რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორს ლეიტენანტ პელაიო ფერნანდეს რუბიოს. 29 მაისს დილით, როცა იგი შვილთან ერთად ავტომობილში ჯდებოდა, მანქანაში აფეთქდა ბომბი, რომელიც ტეროორისტებმა ჩადეს. პელაიო ფერნანდეს რუბიო მძიმედ დაჭრილია, შვილი მსუბუქად დაიჭრა.

ქომუნისტი პოლიტიკა

სსრ კავშირის პირველობაზე

ბუენოს შედგა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებისათვის.

მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები — დედაქალაქის „სპარტაკი" და „დინამო". გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 3:1.

მინსკში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა (მოსკოვი) და მინსკის „ბელარუსის" გუნდების მატჩი დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ალმა-ათაში თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატისა" და კიშინიოვის „ზოლდოვას" ფეხბურთელთა კოლექტივები. მატჩის შედეგია 3:1 „მოლდოვას" სასარგებლოდ.

ტალინში ლენინგრადის „ზენიტისა" და ტალინის „კალევის" გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 1:1.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა საქართველოს პირველობის გათამაშების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

შეხვედრათა შედეგები ასეთია:

პირველი ჯგუფი — „კოლხიდა" (ხობი) — „დინამო" (სოხუმი) 4:0, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) — არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (თბილისი) 1:2, „შუქურა" (ქობულეთი) — „სახარული" (მახარაძე) 5:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „განთიადი" (ბათუმი) 1:3, „მეშახტე" (ტყიბული) — „იმერეთი" (ქუთაისი) 1:1, „ძაღროული" (ციხისძირა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:2, „კოლმეურნე" (თელავი) — „მექანიზატორი" (ადიგენი) 6:4.

დღეისათვის ამ ქვეჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს მახარაძის „სიხარულის" გუნდი, რომელსაც 18 შესაძლებელიდან 14 ქულა აქვს.

მეორე ჯგუფი — „გურია" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:1, „სპარტაკი" (რუსთავი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1, „განთიადი" (ცხაკაია) — „ოდიში" (ზუგდიდი) 4:2, „ფილა" (ცორი) — „ისანი" (თბილისი) 4:0, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „რიონი" (ქუთაისი) 3:0, „ვოდნიკი" (ფოთი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:2, „სპარტაკი" (სტალინირი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0.

ცხრა ტურის შემდეგ მეორე ქვეჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს ლანჩხუთის „გურია", რომელსაც 16 ქულა აქვს.

უნგრელი ტანმოვარჯიშეები თბილისში

რამდენიმე დღეა სსრ კავშირში სტუმრად იმყოფებიან უნგრელი ტანმოვარჯიშეები, რომლებსაც საერთაშორისო შეხვედრებში ბრძოლის კარგი ტრადიცია აქვთ.

პირველად უნგრელი სპორტსმენები ეწვევიან ერევანს, სადაც ადგილობრივ ტანმოვარჯიშეებთან გამართეს საერთაშორისო შეჯიბრება. ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში წარმატება ხვდა სომხეთის გუნდს, ხოლო ქალთა კოლექტივების შეჯიბრებაში გაიმარჯვა უნგრეთის გუნდმა.

ერევნიდან უნგრელი მეგობრები თბილისში ჩამოვიდნენ. სტუმრებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გუშინ უნგრელმა სპორტსმენებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, სპორტული ნაგებობები, მოაწყეს ვარჯიში.

დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოსა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

რამდენიმე სტრიქონით

☐ **კიევში** ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე დამთავრდა რსფსრ, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების ტრადიციული შეჯიბრება მძლეოსნობაში. უკანასკნელი დღის შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობდა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა ვალერი ბრუმელმა. მისი შედეგი — 2 მეტრი და 19 სანტიმეტრი მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

საბერძნეთ-ინდოეთი

ათენი, 30 მაისი. (საკდესი). ინდოეთის ელჩი ბერძნეთში ბ. ბ. ბანერჯი ინდოეთის ელჩ ბერძნეთში ბ. ბ. ბანერჯი ინდოეთ-ბერძნეთ ურთიერთობა ინდოეთ-ბერძნეთ ურთიერთობა ინდოეთ-ბერძნეთ ურთიერთ

მოხკოვის დროით

თბილისის სამგზავრო სადგურში 1961 წლის ზაფხულისათვის სამგზავრო მაგზრებების მიმოსვლის განრიგება (1961 წლის 28 მაისიდან)

| თბილისიდან გადის | | | | | | ბოლო სადგურში ჩადის ს. | ბოლო სადგურში ჩადის წ. | თბილისში მოდის | | | | | | მობრუნების სადგურიდან გამოდის